# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 28 აპრილი 2007 №94 (3017) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 22 | 17 | 4 | 1 | 52:7 | 55 |
| დინამო | 22 | 17 | 1 | 4 | 47:17 | 52 |
| ამერი | 22 | 14 | 5 | 3 | 43:14 | 47 |
| ზესტაფონი | 22 | 13 | 8 | 1 | 43:10 | 47 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 12 | 7 | 3 | 39:23 | 43 |
| სიონი | 22 | 11 | 2 | 9 | 26:19 | 35 |
| ტორპედო | 22 | 9 | 4 | 9 | 21:24 | 31 |
| ბორჯომი | 22 | 7 | 6 | 9 | 24:30 | 27 |
| ბათუმი | 22 | 6 | 5 | 11 | 21:26 | 23 |
| ლოკომოტივი | 22 | 5 | 6 | 11 | 14:30 | 21 |
| მერანი | 22 | 4 | 7 | 11 | 15:35 | 19 |
| ჩიხურა | 22 | 4 | 6 | 12 | 12:33 | 18 |
| დილა | 22 | 2 | 4 | 16 | 15:54 | 10 |
| კახეთი | 22 | 0 | 1 | 21 | 18:69 | 1 |

# ამერი და ზესტაფონი: საჩემპიონო დაჭერობანა მორჩა, თასი დარჩა

## ოლიმპი — დინამო: რუსთავი და ცხრილის თავი

აკი ვამბობდით, „ამერი" — „ზესტაფონში" ფრე ორივე გუნდისთვის საჩემპიონო ფიქრების გამქარწყველი იქნებაო და ასეც მოხდა — ფეროელთა ბრაზილიელმა ვიეირამ და ამერელმა დიმიტრი ტატანაშვილმა გოლები გაცვალეს, შედეგად 1:1 და ორივე გუნდი 8 ქულით ჩამორჩა ლიდერ „ოლიმპს".

რუსთაველებმა და მათმა მდევარმა „დინამომ" კი გუშინდელი ტური მოგებით გადააგორეს.

მაშ, ასე: მოემზადეთ 5 მაისისთვის და ნუ დაიზარებთ რუსთავში წასვლას: „ოლიმპი" — „დინამო" საჩემპიონო თამაშია!

გუშინდელმა ტურმა ცხრილის ქვედა ნაწილში, უფრო სწორად, საპლეიოფო მეთორმეტე ადგილზე ინტრიგა ხელუხლებლად დატოვა. იქ კვლავ „ჩიხურაა", რომელმაც „ვიტ ჯორჯიასთან" მარცხით მდგომარეობა დაიმძიმა, თუმც „მერანი" და „ლოკომოტივიც" ახლოს არიან და საჩხერელებიც მათთან ეცდებიან ხავსზე მოჭიდებას.



# გურია თუ არა, ვიტ ჯორჯია!

## გიორგი ნემსაძე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ოფიციალურად წარუდგა



# ვერისხბაღელი ვარსკვლავები თქვენთვის

## დღეს ქართული საკალათბურთო ოლ სტარია





საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის XII საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე წარდგენილი ამავე ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი ნემსაძის წერილობითი თანხმობა

მე, გიორგი ნემსაძე, დაბადებული 1972 წლის 10 მაისს ქ. თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისში ქიოლევის ქ. №5, ქ. თბილისის საკრებულოს წევრი, თანახმა ვარ მონაწილეობა მივიღო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატის არჩევა კენჭისყრაში ამავე ფედერაციის 2007 წლის 13 მაისის XII საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე

გიორგი ნემსაძე

№ 138 27.04.06

?

# ნემსაძე ოფიციალური და ჯორჯიელმა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის მეო-რე კანდიდატი გიორგი ნემსაძეა.

გუშინ მან ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ სამდივნოს საპრეზიდენტო კანდიდატურის ოფიციალურად დარეგისტრირებისთვის თავად მიაკითხა. ნემსაძის საპრეზიდენტო კანდიდატურა საფეხბურთო კლუბმა „ვიტ ჯორჯიამ“ წარადგინა, რაც, ცოტა არ იყოს, მოულოდნელიც გამოდგა. ნემსაძის კანდიდატურას გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციისგან ველოდით...

— „ვიტ ჯორჯიამ“ ჩემი კანდიდატურა წარადგინა და, ცხადია, ეს კლუბიც ჩემი მხარდამჭერია, ისევე, როგორც გურიის რეგიონული ფედერაცია. საპრეზიდენტო კანდიდატურის რეგისტრაციისთვის ფედერაციის ერთი სუბიექტის თანხმობაც საკმარისია და აღარ ჩავთვალე საჭიროდ, რომ ამ პროცესში ჩემი სხვა მომხრეებიც ჩართულიყვნენ — გვითხრა გუშინ გიორგიმ — მთავარია, რომ უკვე პრეზიდენტობის ოფიციალური კანდიდატი ვარ, „ვიტ ჯორჯიასა“ და გურიის რეგიონული ფედერაციის გარდა კი კიდევ ბევრი მომხრე მყავს და არჩევნებში გავიმარჯვებ.

მაშ, ასე: ფედერაციის მე-12 საანგარიშო-საარჩევნო ყრილობამდე 15 დღით ადრე ფედერაციის პრეზიდენტობის ოფიციალური კანდიდატი ორია — ნოდარ ახალკაცი და გიორგი ნემსაძე.

საპრეზიდენტო კანდიდატურების წარდგენის ბოლო ვადა 4 მაისია.

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

# მოულოდნელი ლაპარაკები კახა კალაძეზე

**ᲙᲐᲮᲐᲡ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲡ** „მილანში“ ასეთი უილბლო სეზონი არასოდეს ჰქონია. საქართველოს ნაკრების კაპიტანი ტრავმებმა ფორმიდან ამოაგდო თუ სხვა რამ მიზეზია, ფაქტია — „როსონერის“ თავკაცი კარლო ანჩელოტი მას ძალიან იშვიათად ათამაშებს.

და აი, იტალიური პრესა წერს, რომ კალაძე „მილანს“ ამ ზაფხულსვე დატოვებს. აპენინელები იუწყებიან, კახას ანჩელოტისთან პრობლემები აქვს და მათი გართულებული ურთიერთობა მწვრთნელის სასარგებლოდ დამთავრდება, ანუ ანჩელოტი დარჩება „მილანში“, ქართველი კი სხვა გუნდს მოძებნისო.

ამასთან, „როსონერის“ ხელმძღვანელობა არ მალავს, რომ ზაფხულში ორი მაღალი კლასის ცენტრალური მცველის შეძენა სურს. მათ შორის ყველაზე ხშირად ანდრეა ბარძალის, კრისტიან კივუს, ფილიპ მექსეშსა და ალექსს ასახელებენ.

**ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ**



# ფრანგული საათი დაგვიდგინეს

**6 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ** საქართველოს ნაკრები ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საფრანგეთს სტუმრად დაუპირისპირდება და თამაში თბილისის დროით 23 საათზე დაიწყება.

შეგახსენებთ, საფრანგეთის ნაკრები საქართველოს ოსერში, „აბე დეშანზე“ უმასპინძლებს. მანამდე კი, 2 ივნისს კლაუს ტოპმიოლერის გუნდს ლიტვაში აქვს მატჩი.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კიდევ ერთმა, თუმც ჯერ არაოფიციალურმა კანდიდატმა მამუკა კვარაცხელიამ გუშინ პრესკონფერენცია გამართა და, ცხადია, ფედერაციის მოახლოებულ ყრილობაზე და საპრეზიდენტო არჩევნებზე ილაპარაკა. კვარაცხელიას ლოზუნგი, ნოდარ ახალკაცის პრეზიდენტობის დასრულებამდე ... დღე დარჩა, რა თქმა უნდა, არც ამჯერად შეცვლილა, შეიცვალა მხოლოდ რიცხვი, გუშინდელ პლაკატზე უკვე 16 გამოჩნდა...



ᲒᲣᲠᲐᲛ ᲛᲣᲠᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

# კვარაცხელიას პირი უტეხეს, მაგრამ გული ვერ გაუტეხეს

— როგორც დიოგენე ეძებდა სანთლით ხელში კეთილ ხალხს, ასე ვარ ახლა — ქართულ ფეხბურთში კარგ კაცებს ვეძებ და საპრეზიდენტო არჩევნებში მათი იმედი მაქვს — ასე დაიწყო პრესკონფერენცია მამუკა კვარაცხელიამ და მაგიდაზე სანთლიანი შანდალი შემოდო — დიახ, ახლა მივხვდი, რომ არჩევნები ძალიან ბინძური საქმე ყოფილა. ამას დიდი პოლიტიკოსები ამბობენ და ეს საკუთარ თავზე გამოვცადე. ვინც ადრე მხარდაჭერას მპირდებოდა და ამას სახალხოდ ამბობდა, ახლა თავს იკავებს.

— საპრეზიდენტო არჩევნებში ჩემს კონკურენტად გიორგი ნემსაძეს ვთვლი და არა ნოდარ ახალკაცს, მთლად ისეც არაა საქმე, როგორც ახალკაცი ამბობს, 12 ხმა უკვე ჩემიაო. მან მაქსიმუმ 9 ხმა მოაგროვოს.

— ჩემს საპრეზიდენტო კანდიდატურას 30 აპრილს ან 1 მაისს ოფიციალურად წამოვაყენებ. თუ არჩევნებში გავიმარჯვებ, თბილისში ჩამოვა დანიის ვეტერანთა ნაკრები — პრებენ ელკიაერ ლარსენი, პეტერ შმაიხელი, ძმები ლაუდრუპები, მიქაელ ლერბი და კიდევ ბევრი სხვა — გიორგი ნემსაძეს კი ფეხბურთიდან საზეიმოდ სწორედ ამ ვარსკვლავებთან საქართველოს ვეტერანების მატჩისას გავაცილებ. ნემსაძე ღირსეული პიროვნებაა. ბევრი არ არის ისეთი ფეხბურთელი, ვინც არ ითაკილა და კარიერა საქართველოს ჩემპიონატში დაამთავრა.

— გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დურმიშხან ჩხაიძე ფეხბურთში საკმაოდ გამოცდილი კაცია და არა მგონია, გურიის ფედერაციის ყრილობა დარღვევებით ჩაეტარებინა და ოზურგეთის ფედერაცია, წესდების შესაბამისად, ორი კვირით ადრე არ გაეფრთხილებინა. გურიის ფედერაციას ყრილობა მეორედაც რომ ჩაატარებინონ, იქ მაინც გიორგი ნემსაძის კანდიდატურის მომხრენი იქნებიან.

— ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებისას ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ხელისუფლების პოზიცია და თავს ნურავინ მოიტყუებს. აგერ, მაგალითად, როცა გურიის ფედერაციის ყრილობაზე იყო ლაპარაკი, სპორტისა და კულტურის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა ახალკაცს საქვეყნოდ აგრძნობინა თავისი მხარდაჭერა. ის უკვე თითქმის პირდაპირ ერევა წინასაყრილობო კამპანიაში.

— ზურაბ ფოცხვერიას და კიდევ რამდენიმე კაცის მხრებზე დგას დღეს ქართული ფეხბურთი. ფოცხვერია, რუხაძე, თოფურია რომ არ იყვნენ, კაცმა არ იცის, სად იქნებოდა ჩვენი ფეხბურთი. სხვათა შორის, ზურაბ ფოცხვერიას მას შემდეგ შევხვდი, რაც მან ხმამაღლა თქვა, რომ ნოდარ ახალკაცის მხარდამჭერია.

— გიორგი ნემსაძეს ჯერ არ შევხვედრივარ, თუმცა ის ჩემი მეგობარია და, ცხადია, მუდამ ასეთი ურთიერთობა მექნება.

— მზად ვარ ნოდარ ახალკაცთან პირდაპირი სატელევიზიო დებატებისთვის. თუმცა ეჭვი მაქვს, რომ ის ჩემს გამოწვევას არ დათანხმდება, კარგად იცის, რომ ვერაფერს მიპასუხებს.

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

# იტალიამ ავსტრიაში სერბეთთან გაგვიშვა

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** 17-წლამდელთა ნაკრები „ევროპა უნიტას“ რვაგუნდა საერთაშორისო ტურნირზე ნახევარფინალში სერბეთის ნაკრებს გაეჯიბრება. გუშინ ჰერბერტ ცანკერის გუნდმა იტალიელ თანატოლებთან 0:2 წააგო და ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა.

მატჩი სლოვენიის ქალაქ ვიპოლცეში გაიმართა და იტალიელებმა ჩვენიანებს დასაწყისშივე გაუტანეს გოლები: მაჩედამ მე-7 წუთზე, დესტრამ კი მე-14-ეზე.

ცანკერმა აპენინელებთან ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *ნიორაძე, რიგვავა, ახალბედაშვილი, გუგუჩია, ძალამიძე (ვაშაკიძე), შეყილაძე (გორდეზიანი), ფილია (ქარდავა), მირცხულავა, ჭანკვეტაძე, მელიქიშვილი, მამულაძე.*

სერბეთთან ნახევარფინალი დღეს ავსტრიის ქალაქ კოტშახ-მოტენში გაიმართება.

**ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

საქართველოს ჩემპიონატი 18

უმაღლესი ლიგა · II წრე. 22 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერ-იმერის ჩემპიონობა მორჩა, წინ კიდევ ერთი ამერ-იმერია

თბილისი. 27 აპრილი. 16 საათი. ამერი. 900 მაყურებელი

## ამერი 1:1 ზესტაფონი

0:1 ვიეირა (6), 1:1 ტატანაშვილი (60)

| ამერი | ზესტაფონი |
| --- | --- |
| ამერი: ქვაჩახია, ელბაქიძე, დიდავა, ჩიკვილაძე, დავითნიძე, დობროვოლსკი, ს. დავითაშვილი (ჩიმაკაძე 78), დეკანოსიძე, გ. ჯელაძე, ბოლქვაძე (ნიკოლაიშვილი 86), კაკაშვილი (ტატანაშვილი 46) | ზესტაფონი: გ. ჭანტურია, ს. თოდუა, შ. ლონლაძე (ბ. ნოზაძე 90), კ. ჩხეტიანი, დოს სანტოსი, რ. ონიანი, კესანი, ვიეირა, გ. ჭელიძე, ნ. კვასხვაძე (იონანიძე 65), ფიფია (ყონატასი 73) |
| სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი, გაბისკირია, მესხი, ხვადაგიანი | სათადარიგონი: რ. კვასხვაძე; გ. ჩხეტიანი, დაუშვილი, გ. ხიდეშელი |
| მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | მწვრთნელი: თემურ მახარაძე |

გაფრთხილება: ჩიკვილაძე (61), თოდუა (69)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; გ. ჩიგოგიძე, გ. ყრუაშვილი; მ. მაისურაძე

დამკვირვებელი: ო. გუნთაძე



დიმიტრი ტატანაშვილის დარტყმამ გრიგოლ ჭანტურია გააშეშა

ბაჩუკი კვირკველიას ფოტო

**კობა ინასარიძე**

„ამერმა“ და „ზესტაფონმა“ ჩემპიონობისთვის ბრძოლა გუშინ, ერთმანეთთან მატჩით დაამთავრეს. ახლა ორივეს მთავარი საზრუნავი 26 მაისის თასის ფინალი იქნება, ამ გუნდებმა ნახევარფინალის პირველი შეხვედრები ისეთი ანგარიშებით მოამთავრეს, დიდი სენსაცია უნდა მოხდეს, მათი ფინალი ხელმეორედ არ ვნახოთ. ჩემპიონატში „ამერსა“ და „ზესტაფონს“ სხვა არაფერი დარჩენიათ — მესამე საპრიზო ადგილისთვის თამაში. იმერელთა მწვრთნელის თემურ მახარაძის გუშინდელი განცხადების შემდეგ კი მესამეობისთვის უფრო მონდომებული ალბათ მისი გუნდი იქნება. „ზესტაფონის“ თავკაცმა თქვა, ინტერტოტოს თასზე უარი არ გვითქვამს და თუ საშუალება გვექნება, ვითამაშებთ კიდეცო. ინტერტოტოს საგზურს, მოგეხსენებათ, სწორედ მესამე ადგილი იძლევა. „ამერს“ კი ინტერტოტოზე თამაში არ სურს, ჩემპიონატში მხოლოდ ბრინჯაოს მედლების ძიებას უნდა დაკმაყოფილდეს და სათასო ფინალისთვის მოემზადოს.

აი, ასეთი ამბები მოიტანა გუშინდელმა მატჩმა, რომელიც სიმძაფრით, ინტერესითა და პრინციპულობით ჩემპიონატის ბევრ მატჩს ერთი-ორად აღემატებოდა. საბოლოოდ კი ისეთი შედეგით დასრულდა, ორივე გუნდისთვის უხეირო რომ გამოდგა. თუმცა, როგორც მატჩის შემდეგ ამერელთა თავკაცმა გიორგი ჩიხრაძემ თქვა, ანგარიში ალბათ უფრო ლოგიკური იყო. პირველი ტაიმის დაახლოებით ნახევარი საათი თუ სტუმართა საგრძნობი უპირატესობით მიილია, რაც გატანილ გოლშიც აისახა, მთელი მეორე ტაიმი „ყვითლებისა“ გამოდგა და ასევე შედეგიანად დასრულდა.

მასპინძლებს ამ მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ ორი წამყვანი ფეხბურთელი დააკლდათ — თავდამსხმელმა რატი წინამძღვრიშვილმა და ფლანგელმა ჰავბეკმა გრიგოლ დოლიძემ ვარჯიშზე ფეხი იტკინეს და იძულებით დაისვენეს. ორივე ტრიბუნაზე იყო და თავისიანებს მხოლოდ შეძახილებით თუ ეხმარებოდნენ. ალბათ ამიტომაც „ამერის“ მწვრთნელმა მისთვის და გუნდისთვის ჩვეული განლაგება შეცვალა და სტუმრებს ორის ნაცვლად ერთი ფორვარდით დაუხვდა — წინა ხაზზე სულიკო დავითაშვილი თამაშობდა და, მართალია, მოედანი უგოლოდ დატოვა, მაგრამ ბევრი ოფლი კი დაღვარა და იმერლებიც გვარიანად ანერვიულა. თავდასხმის ხარჯზე გიორგი ჩიხრაძეს ნახევარდაცვის გაძლიერება დასჭირდა, სადაც ხუთი ფეხბურთელი გაამწესა.

„ზესტაფონში“ გამოკვეთილი თავდამსხმელი გიორგი ფიფია იყო, ხოლო გიორგი ჭელიძე და ვიეირა ნახევრადშემტევების ფუნქციებს ასრულებდნენ. მათ უკან კესანი და როინ ონიანი თამაშობდნენ, ხოლო მარჯვნიდან ნიკა კვასხვაძე.

მატჩი „ზესტაფონმა“ უფრო ტემპიანად, უფრო აგრესიულად და, გნებავთ, უფრო თავდაჯერებულად დაიწყო. „ყვითლებს“ უჩვეულოდ ბევრი უნებლიე შეცდომა ჰქონდათ და სწორედ ერთი ასეთი შეცდომა, როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, ორ ქულად და ჩემპიონობისთვის ბრძოლის დამთავრებად დაუჯდათ. მე-6 წუთი იყო, როცა მასპინძელთა მცველებმა საჯარიმოს მისადგომებიდან ბურთი ვერ აიტანეს, ჭელიძე კი პირიქით, ძალიან სახიფათოდ მიიახლოვეს. ზესტაფონელმა იდროვა, ბურთი სისწრაფეაკრეფილ ვიეირას საჯარიმოში შეაყოლა და არც მეკარესთან პირისპირ გასულმა ბრაზილიელმა დააყოვნა, შორეულ კუთხეში ზუსტად დაარტყა და გუნდი დააწინაურა. სათამაშო უპირატესობა ხომ ისედაც ზესტაფონელებისა იყო და, გოლის შემდეგ განწყობაც გაიუმჯობესეს. მეტხანს ბურთს სტუმრები აკონტროლებდნენ, მეტს მოძრაობდნენ და ბურთის ჯგუფურად ართმევაც კარგად გამოსდიოდათ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამერელები მათ კარს უახლოვდებოდნენ. თუმცა ასეთი უმკაცრესი პრესინგის მიუხედავად მასპინძლები მაინც ახერხებდნენ გრიგოლ ჭანტურიას შეწუხებას და ორ-სამჯერ მიზანთანაც ახლოს იყვნენ. ერთხელ სულიკო დავითაშვილი, ვისაც მთელი ტაიმი დოს სანტოსი ლანდივით დასდევდა, ჯაჯგურ-ჯაჯგურით დასარტყმელ პოზიციაზე მაინც გავიდა, გოლამდეც თითქოს ბევრიც არაფერი რჩებოდა, მაგრამ გამოცდილმა კახა ჩხეტიანმა იმარჯვა, დავითაშვილს დროულად დაუფარა. მერე ისევ დავითაშვილი ურტყამდა, ოღონდ თავურს, ბურთი კარს გადასცდა. გივი დიდავას კი, რომლის დარტყმულიც ცხრიანისკენ მიფრინავდა, მეკარემ აღარ გაატანინა და ბურთი კუთხურზე გადააგდო. „ამერმა“ ტემპს ტაიმის ბოლოსკენ უმატა და ისე ათამაშდა, რისი მოლოდინიც იყო. თუმცა, ვიდრე მასპინძლები ბურთს გააგორებდნენ და მეტოქის მცველებს ხშირ-ხშირად შეაწუხებდნენ, თავად ზესტაფონელებსაც ჰქონდათ საგოლე შანსები. მაგალითად, ჭელიძის შემობრუნებით დარტყმული კარს ოდნავ ასცდა, ნიკა კვასხვაძის სახიფათო ფლანგურ ჩაწოდებებს კარში დამრტყმელი არ გამოუჩნდა, ბოლოსკენ კი ზურაბ ქვაჩახიამ იყოჩაღა და მცველიდან ასხლეტილ ბურთს ზედ კარის ხაზზე მიუსწრო.

„ამერმა“ ტაიმი უპირატესობით ჩაამთავრა, მაგრამ ისიც კარგად იგრძნობოდა, რომ მასპინძლებს მეორე თავდამსხმელი სჭირდებოდათ. მარტო დავითაშვილს ორი კაცის საქმის კეთება უჭირდა. ჩიხრაძემ აღარ დააყოვნა და სწრაფ და მოქნილ დიმიტრი ტატანაშვილს უხმო, მან შესვენებაზე ფლანგელი მცველი ლადო კაკაშვილი შეცვალა, მისი ადგილი კი გივი დიდავამ ჩაიბარა. ახლა უკვე ნახევარდაცვის ხარჯზე „ამერის“ თავდასხმა გაძლიერდა. სასურველი შედეგი კი მასპინძლებმა ამ შეცვლიდან 15 წუთში მიიღეს: „ზესტაფონის“ ნახევარზე ჯარიმა დაინიშნა და ვიდრე სტუმრები დაცვას დაალაგებდნენ, დავითაშვილმა ბურთი სწრაფად გაასწორა და მცველებს შუა სწორედ ტატანაშვილს გაუჭრა. ამერელი ფორვარდი ბურთს შეჰყვა, კარს ერთი ახედა და ისეთი დაარტყა, ჭანტურია გაშეშებული დატოვა — ბურთი ხარიხიდან კარში ჩაეშვა.

ბურთიც და მოედანიც უკვე „ამერის“ იყო. მეორე ტაიმში თითქოს სხვა გუნდი თამაშობდა, მასპინძლები იშტაზე მოვიდნენ და „ზესტაფონიც“ საკუთარ ნახევარზე ჩაიკეტა. მომენტები, იცოცხლეთ, „ყვითლებმა“ ბევრი შექმნეს, უფრო მოქნილად და გონივრულად ათამაშდნენ, მაგრამ გოლამდე საქმე აღარ მისულა. არადა, იყო ეპიზოდები, როცა ბურთზე ჭვინტის ერთი წართმაც კი გოლი იქნებოდა...

ფრე რომ არც ერთისთვის იყო სახეირო, ეს ორივე მწვრთნელმა იცოდა. გოლის შემდეგ შეცვლები ჯერ თემურ მახარაძემ გააკეთა და საქმეში გამოცდილი ფორვარდი ზურაბ იონანიძე ჩართო, შემდეგ კი ასევე თავდამსხმელი ყონატასი მიაშველა გუნდს, ხოლო ჩიხრაძემ უკვე დაღლილი დავითაშვილი ბესიკ ჩიმაკაძით ჩაანაცვლა. ორივე მწვრთნელმა შეტევისკენ გაიწია... მატჩის ბოლოსკენ „ზესტაფონს“ აღარ, მაგრამ „ამერს“ კი შეეძლო ერთის გატანაც. ორჯერ ჩიმაკაძე და ტატანაშვილი ახლოს იყვნენ მიზანთან, თუმცა მათი დარტყმები მიზანში ვერ მოხვდა.



ბაჩუკი კვირკველიას ფოტო

## პრესკონფერენცია

*თემურ მახარაძე:* საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან ვითამაშეთ, თანაც სტუმრად და, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან რთული და დაძაბული მატჩი გამოვიდა. გატანილი გოლის შემდეგ რატომღაც მოვეშვით, უკან დავიხიეთ, რამაც ტაიმის ბოლოს უკვე „ამერს“ მისცა უპირატესობა. მეორე ტაიმის ბოლოც „ამერისა“ იყო. ამ შედეგის შემდეგ საჩემპიონო შანსები აღარ გვაქვს და ვეცდებით, ინტერტოტოს საგზური მოვიპოვოთ. მსაჯობით კმაყოფილი ვარ.

*გიორგი ჩიხრაძე:* ეს პრინციპული და ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანი მატჩი, ვფიქრობ, მაყურებლისთვისაც თვალსასეირო იქნებოდა. ჩვენთვის სამწუხაროდ, სწრაფი გოლი მივიღეთ და გონს მოსასვლელად დრო დაგვჭირდა. „ამერის“ ფეხბურთელებმა დღეს ბოლომდე და ვაჟკაცურად იბრძოლეს და მოგებასთანაც ახლოს ვიყავით. ეს ისეთი მატჩი იყო, როცა მოგებაც შეგვეძლო და, შეიძლებოდა, წაგვეგო კიდეც. ამიტომაც ფრე ალბათ ლოგიკური შედეგია. დღეს კვალიფიციური მსაჯობა იყო.

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 22-ე ტური

თბილისი. 27 აპრილი. 16 საათი. მიხეილ მესხი. 300 მაყურებელი

## დინამო 3:0 მერანი

1:0 კობახიძე (12), 2:0 იაშვილი (34); 3:0 ფეიქრიშვილი (84)

**დინამო:** გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, ს. კობახიძე (სპასოევიჩი 83), ხმალაძე, დიღმელაშვილი, ოდიკაძე (ფეიქრიშვილი 73), გ. მერებაშვილი (ხუციშვილი 69), ს. იაშვილი
*სათადარიგონი:* ლორია; გ. კაშია, თომაშვილი, ლ. ნოზაძე
**მწვრთნელი:** დუშან უჰრინი

**მერანი:** გლუნჩაძე, კედელაშვილი, ჯანგიძე (გულიაშვილი 75), აბშილავა, სარალიძე, ბურჯანაძე, ბესარაშვილი, ქემაშვილი (ზედელაშვილი 46), ფურთუხია, ა. ნოზაძე, ი. დეისაძე (კეტაშვილი 65)
*სათადარიგონი:* ლომიძე; ოსიტაშვილი, ჩივაძე, ქორიძე
**მწვრთნელი:** ასლან ბალაძე

**გაფრთხილება:** გლუნჩაძე (12), ბურჯანაძე (22), ოდიკაძე (41)

**გაძევება:** გლუნჩაძე (89), ხუციშვილი (89)

**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი; მ. ელიკაშვილი, ბ. ჭიჭინაძე; ლ. სილაგავა

**დამკვირვებელი:** ა. დურსუნიში



სანდრო იაშვილმა ერთი გოლიც შეიმატა

# ცხენი მანქანას როგორ გაასწრებს

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**თამაშის** დასრულებას არაფერი უკლდა, მერანელთა მეკარე კახა გლუნჩაძემ მაისურა დავით აბშილავას, კაპიტნის სამკლავური კი გიგა ბურჯანაძეს რომ გადაულოცა...

უცნაური ამბავი იყო: გლუნჩაძემ უწყინარ სიტუაციაში დინამოელ მიხეილ ხუციშვილს ყურისძირში გაუქანა. დინამოელს ხურდის დაბრუნება არც უცდია, თუმცა დავით ხარიტონაშვილმა ორივეს წითელი ამოუღო. ამის მერე კი წუთიერი გაქაჩვა და „გამოხვალ-დავილაპარაკოთ" ატყდა.

მსაჯსა და გლუნჩაძეს შორის ურთიერთობის გარკვევა კი მე-12 წუთზე დაიწყო, როდესაც მერანელთა მეკარემ სანდრო კობახიძის გოლის გამო პროტესტი გამოთქვა და მსაჯმა ყვითელი მიართვა. ტრიბუნიდან ეპიზოდი მართლაც საეჭვო ჩანდა, სანდრო იაშვილის პასის შემდეგ მეკარესთან პირისპირ დარჩენილი კობახიძე თითქოს თამაშგარეში იყო, თუმც გვერდითმა მსაჯმა ყველაფერი წესებში „ჩაატია" და „დინამოც" დაწინაურდა.

გოლამდე კი თამაში „მერანისა" იყო. ფავორიტმა „დინამომ" დასაწყისში ცენტრი დათმო და მერანელებს მეტი ოსტატობა რომ ჰქონოდათ, ანგარიში გაიხსნებოდა.

გოლის შემდეგ კი „დინამომ" აიშვა და მასპინძლებს ბოლო პასისას რომ ეზუსტათ, პირველ ტაიმში სხვაობა დამანგრეველი იქნებოდა.

34-ე წუთზე „დინამომ" მეორეც გაიტანა — დავით ოდიკაძის ფლანგურ ჩაწოდებას იაშვილმა საფირმო თავური შეაგება — 2:0.

სანდრო ამჯერადაც მარტო ირჯებოდა თავდასხმაში, თუმც თანაგუნდელებს არც მწვავე პასები მოაკლო და მეორე სართულზეც ვერავინ აჯობა.

პირწმინდად მოგებული პირველი ტაიმის შემდეგ მეორეში „დინამოს" ვეღარ ვცნობდით. „მერანი" ბურთს უფრო დიდხანს აკონტროლებდა, თუმც მხოლოდ საჯარიმოს მისადგომებამდე — მეტის საშუალებას დინამოელი მცველები არ აძლევდნენ. მერანელთაგან ბურჯანაძე და ნიკა ზედელაშვილი გამოირჩეოდნენ.

ოც წუთში „დინამო" გონს მოეგო. ჯერ იაშვილმა ვერ შეირგო დავით დიღმელაშვილის საუცხოო პასი და ოთხიოდე მეტრიდან პირდაპირ გლუნჩაძეს გაარტყა, ერთ წუთში კი „მერანი" გიორგი მერებაშვილის დარტყმის შემდეგ ძელმა იხსნა.

გავიდა კიდევ ოცი წუთი და „დინამომ" მესამეც გაიტანა — ისევ დიღმელაშვილის ჩინებული პასი, გიორგი ფეიქრიშვილის დარტყმა, ძელი, ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლა, ისევ ფეიქრიშვილი და 3:0

### პრესკონფერენცია

*დუშან უჰრინი:* პირველ ტაიმში უკეთესად გამოვიყურებოდით. გუნდის მთავარი პრობლემა მომენტების გამოუყენებლობაა. რაც შეეხება მეორე ტაიმს, ვფიქრობ, ფეხბურთელებმა უკვე მომდევნო თამაშზე დაიწყეს ფიქრი და ამიტომაც მოდუნდნენ.

*დავით ეკიზიშვილი, „მერანის" მეორე მწვრთნელი:* ფავორიტი „დინამო" იყო, მაგრამ „მერანმა" რაც შეეძლო, იბრძოლა. რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ, დღესდღეობით „დინამო" გაცილებით ძლიერია და საგოლე მომენტებიც მეტი ჰქონდა. წაგება სამწუხაროა, მაგრამ როცა მეტოქე ძლიერია, თავს ზემოთ ძალა არ არის.

# ბორჯომის წყლის ძალა დაწრეტილ ჩემპიონთან

ბორჯომი. 27 აპრილი. 16 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი. 1 200 მაყურებელი

## ბორჯომი 2:0 სიონი

1:0 ჯიქია (70), 2:0 გრიგალაშვილი (79)

**ბორჯომი:** შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, თ. ლონლაძე, თედიაშვილი, შ. გრიგალაშვილი (ლომიძე 87), კოშკაძე, შ. ჯიქია, ა. კაიდარაშვილი (რ. კვერნაძე 78), კაკალაძე (გოგიჩაიშვილი 80)
*სათადარიგონი:* საბაშვილი; ტალახაძე
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**სიონი:** მამალაძე, კობაური, სვანიძე, ლ. ჭელიძე, რაქვიაშვილი (გიგინეიშვილი 75), ვ. უგრეხელიძე (ა. ალავიძე 62), ლ. ბაჯელიძე, კორძაიძე, ბაბუნაშვილი, ქარდავა (ბ. ცხადაძე 57), სანიკიძე
*სათადარიგონი:* ბობლიაშვილი, ფრიდოლინი, ბუბუტეიშვილი
**მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე

**გაფრთხილება:** კოშკაძე (24), ქარდავა (38), გრიგალაშვილი (42)

**გაძევება:** სანიკიძე (82)

**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი; გ. დოგრაშვილი, დ. კვეტენაძე; ხ. გაგნიძე

**დამკვირვებელი:** რ. ტალიაშვილი

**დავით თავართქილაძე ბორჯომიდან**

**„სიონს"** ჯერაც ჩემპიონი გუნდის სტატუსი აქვს და ასეთი უსუსური თამაში არ ეკადრებოდა. ბოლნისელებს ტრავმებისა და დისკვალიფიკაციის გამო რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ, მაგრამ ვიტალი დარასელიას, სერგო ორბელაძის, ევოჩეს და ჩასემის არყოფნა გასამართლებელ საბუთად ალბათ ვერ გამოდგება.

„ბორჯომმა" ითამაშა რაც იცის და რასაც მისგან ველოდით და პირწმინდად დაჯაბნა მეტოქე. ორივე ტაიმი თორელთა უპირატესობით წარიმართა, ბორჯომელებმა ბოლნისელებზე მეტი სახიფათო მომენტი შექმნეს და, საერთოდაც, უფრო მხნედ და ჟინიანად თამაშობდნენ, „სიონი" კი გადატვირთული, გამოფიტული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მასპინძელთა იერიშებს პირველ ტაიმში ლექსო კაიდარაშვილი წარმართავდა. ის პირველი იყო, „სიონის" კარში რომ დაარტყა — ზურაბ მამალაძემ ხელებში მოიგდო ბურთი. სტუმრებიც შეეცადნენ შორეული დარტყმით გოლის გატანას, მაგრამ ბესო ქარდავას ჯარიმა ბექა შეყრილაძემ გააუვნებლა. საგოლე მომენტი კი ტაიმის შუაში შეიქმნა: დავით სვანიძის შეცდომის შემდეგ მიხეილ კაკალაძე ჩინებულ პოზიციაში აღმოჩნდა, თუმც დარტყმა არ გამოუვიდა და მამალაძე იოლად დაეუფლა ბურთს.

აქედან დაახლოებით ხუთ წუთში მამალაძემ თეიმურაზ ლონლაძის დარტყმული მოიგერია, ალეკო კოშკაძის გასროლილი კი ხარიხას გადაევლო.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, „სიონს" მიეცა დაწინაურების შანსი — ქარდავამ ახლოდან, ოდნავ მახვილი კუთხიდან ვერ დაუმიზნა მამალაძის კარს. ამის შემდეგ „სიონს" შეტევაში თითქმის არაფერი გამოსდიოდა, ხიფათი უფრო მის კართან იქმნებოდა. კაკალაძემ კაიდარაშვილს დაუგორა, რომელმაც ცხრიანს დაუმიზნა და მამალაძემ კუთხურზე მოიგერია ბურთი.

და გოლიც — შოთა ჯიქიამ ფინტით გააცურა მცველი და მამალაძეს ხვეული დარტყმით ჩაუსვა ბურთი შორეულ ძელთან — საამო საცქერი გოლი გამოდგა. ამან „სიონი" კიდევ უფრო დათრგუნა და მეორე გოლიც რომ გაუშვა, სავსებით ლოგიკური იყო. კოშკაძემ მარცხენა ფლანგზე გაჭრილ შოთა გრიგალაშვილს დაუგორა, რომელმაც ოსტატურად შეაბზრიალა ბურთი ბადეში.

სხვა საინტერესო „ჯემალ ზეინკლიშვილზე" არაფერი მომხდარა. ერთი ქომაგი ტრიბუნებისა და მოედნის გასაყართან მოწყვეტით წაიქცა, თუმც ამას გართულება არ მოჰყოლია — ნასვამი მხცოვანი გულშემატკივარი მალევე მოასულიერეს.

გორი. 27 აპრილი. 16 საათი. ქართლი. 30 მაყურებელი

## ჩიხურა 0:1 ვიტ ჯორჯია

0:1 სახოკია (52)

**ჩიხურა:** სტურუა, ბარამიძე, დ. გიგაური, ქემოკლიძე, ქუხილავა, ლ. ფაშაკიძე, ი. ზაბახიძე (გვეტაძე 73), ბუცხრიკიძე (მ. მიქაძე 68), კ. მახარაძე, ჯ. დვალი, გ. მიქაძე
*სათადარიგონი:* მწყერაშვილი; თავბერიძე, კ. ზაბახიძე
**მწვრთნელი:** ხვიჩა ქასრაშვილი

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, ბეჭვაია, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი (ადამაძე 90), გ. მელქაძე (კვალინაძე 88), ლუჭაშვილი, ბერიაშვილი, სახოკია (ინჯგია 79)
*სათადარიგონი:* ლურბელეიშვილი; კაიშაური, კიკნაძე, ლიპარტია
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**გაფრთხილება:** გ. მიქაძე (83), მახარაძე (88)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ე. ნარმანია, დ. კურტანიძე; ი. ურუშაძე

**დამკვირვებელი:** ხ. კოტრიკაძე

# მენადა ზმჩავს გატანა...

**ილია ნანობაშვილი გორიდან**

**ვიტელებმა** მარცხენა ფრთიდან საჩხერელთა საჯარიმოში ჩააგდეს ბურთი, სადაც ვასილ ლუჭაშვილმა თავი წაარტყა და იქვე მდგარმა ზაზა სახოკიამაც გემრიელად ჩააჭედა კარში. ასე გავიდა 52-ე წუთზე მატჩის ეული გოლი, რომელმაც ნესტორ მუმლაძის გუნდი მეხუთე ადგილზე გაამყარა, ხოლო „ჩიხურა" ისევ საპლეიოფო მეთორმეტეზე დატოვა.

არადა, პირველ ტაიმში ერთადერთი გასატანი შანსი ზემოიმერლებს ჰქონდათ, როცა კახა მახარაძემ ლამაზი მაკრატელათი ხარიხა შეატორტმანა. საერთოდაც, საწყის წუთებში „ჩიხურა" უკეთ თამაშობდა, მერე კი „ვიტ ჯორჯიაც" ათამაშდა და ნახევარმცველების აქტიურობით მინდვრის ცენტრში უპირატესობა მოიპოვა. ისიც ვთქვათ, რომ ბელგიურ „ბეერსხოტში" გასინჯვაზე მყოფ ნიკა გელაშვილის გარდა, ვიტელებს პაატა დათუნაიშვილიც აკლდათ, თუმც მის პოზიციაზე გიგა ბეჭვაია მშვენივრად გაისარჯა და რამდენიმე სახიფათო გარღვევაც განახორციელა მარჯვენა ფრთაზე.

„ჩიხურას" გულით კი ეწადა გათანაბრება, მაგრამ ერთი ნახევარმომენტიც ვერ შექმნა, სტუმრებს კი კიდევ შეეძლოთ გატანა: გიორგი მელქაძემ ერთხელ მეკარეს გაარტყა, ერთხელაც კარს ააცილა, ბოლოს კი ლუჭაშვილს გაუცუდდა დარტყმები.

და კიდევ, სახოკიას გოლიდან ორიოდ წუთში „ჩიხურას" თავკაცი ხვიჩა ქასრაშვილი ერთ-ერთი ეპიზოდის გამო მსაჯ ალექსანდრე კრიჭაშვილს შეედავა, გაბრაზებულმა სტადიონი დატოვა და მავთულღობის იქიდან უყურა თამაშს...

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 22 ტური

ქუთაისი. 27 აპრილი. 16 საათი. ტორპედო. 1 000 მაყურებელი

## ტორპედო 2:1 კახეთი

1:0 ქუთათელაძე (26), 1:1 მურველაშვილი (75), 2:1 კირკიტაძე (89)

**ტორპედო:** ქვილითაია, გურული, ლალაძე, ა. კვერნაძე, ზივზივაძე, კვეტენაძე (მდივნიშვილი 46), ჭედია, ზ. ჩხეტიანი, მ. ლონლაძე (გორგოძე 64), იმედაძე (კირკიტაძე 74), ქუთათელაძე
*სათადარიგოები:* ოდიშარია; დანელია, კიკვიძე, ხურცილავა
**მწვრთნელი:** იური კვერნაძე

**კახეთი:** გ. იაშვილი, გიგაური (მ. ხიდეშელი 46), მურველაშვილი, იოსებაშვილი, გერგიშვილი, კუპრაშვილი, ჩუთლაშვილი (გ. ხიდეშელი 55), კველიშვილი (დავითულიანი 74), ბიძინაშვილი, ტეტიაშვილი, ძამუკაშვილი
*სათადარიგოები:* ქუფარაშვილი, ბურნაძე
**მწვრთნელი:** ვასილ არუდაშვილი

**გაფრთხილება:** ჭედია (48)

**მსაჯები:** ვ. გუმბერიძე; დ. სანოძე, თ. ხუჭუა; ჯ. ბუიშვილი

# ტორპედო კახეთის ხავსი არ აღმოჩნდა



მალხაზ ახვლედიანის ფოტო

**ლუკა თალაკვაძე ქუთაისიდან**

**ქუთაისში** „კახეთი" ახლოს იყო ისტორიულ ქულასთან: ისტორიულთან იმიტომ, რომ „დილასთან" საპირველწრეო ფრის გარდა, კახელები სულ აგებენ და აგებენ. მაინც არ გაუმართლათ კახელებს, ქუთათურთა გიორგი ჭედიამ ლამაზი გარღვევა განახორციელა, ქუთათელაძეს მიაწოდა ბურთი და ამანაც კირკიტაძე მოძებნა, რომელმაც ათიოდ მეტრიდან გაუტანა სტუმრებს. ასე გახდა ანგარიში 2:1 და „ტორპედომაც" მოგების გემო გაიხსენა.

მთლიანობაში თანაბარი თამაში იყო, „კახეთი" არაფერს თმობდა და ქულა რომ აელო, ვერავინ დაამადლიდა. „ტორპედომ" კი ისევ გამოცდილი ფეხბურთელების მეშვეობით გახსნა ანგარიში: გია იმედაძემ გონივრული პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ზვიად ქუთათელაძე და მანაც აუღელვებლად შეაგდო — 1:0. პირველ ტაიმში დიდად საინტერესო არაფერი მომხდარა.

მეორე ნახევარი შედარებით ცოცხალი გამოდგა. თელაველთა თავკაცმა ვასილ არუდაშვილმა გიორგი ხიდეშელი შეიყვანა მინდორზე, ვინაც ქუთაისელმა გულშემატკივრებმა ერთი ლათინოამერიკული ტელესერიალის პერსონაჟს სალვადორს მიამსგავსეს და მთელი ხმით იძახოდნენ, „სალვადორს არ გაატანინოთო"... არადა, ხიდაშელი მართლაც ყოჩაღად თამაშობდა, „ტორპედოს" მეკარე მაქსიმე ქვილითაიასაც ორჯერ დაურტყა სახიფათოდ.

ხიდეშელმა არა, მაგრამ მურველაშვილმა კი გაათანაბრა ანგარიში — კახელთა ერთ-ერთი შეტევისას ბიძინაშვილმა საჯარიმოში ჩააგდო ბურთი და მურველაშვილმაც ძლიერი დარტყმით იხეირა — 71-ე წუთზე 1:1 გახდა.

კახელები ცოტა ხანს კიდევ ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ, ეტყობა, დაიღალნენ ან ფრეზეც თანახმანი იყვნენ. „ტორპედო" კი ასე არ ფიქრობდა...

# ოლიმპია და აკი მოიგო

**გიორგი მურვანიძე ბათუმიდან**

ბათუმი. 27 აპრილი. 16 საათი. ადელი. 500 მაყურებელი

## ბათუმი 1:2 ოლიმპი

0:1 გოცირიძე (9), 0:2 ქებაძე (31), 1:2 ნერგაძე (90)

**ბათუმი:** სომხიშვილი, კუნჭულია, გალოგრე, უ. ლობჟანიძე, მაკარიანი, კ. შალამბერიძე, ნერგაძე, ცანავა (ტულუში 57), დარჩიძე, ბეჟანიძე, (დემურაძე 70), კერესელიძე (ფარტენაძე 67)
*სათადარიგონი:* ბექთაშევი, ბაციკაძე, რამიშვილი, მახარაძე
**მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

**ოლიმპი:** მერლანი, მახვილაძე, გ. ონიანი, ჭიჭვეიშვილი, გ. კახელიშვილი (ბერუაშვილი 68), სეთურიძე, გეწაძე (დვალიშვილი 46), ნავალოვსკი (ძამსაშვილი 46), ქებაძე, აფციაური, რ. გოცირიძე
*სათადარიგონი:* მ. ალავიძე, ხუბუა
**მწვრთნელი:** რევაზ ძოძუაშვილი

**მსაჯები:** მ. ბეუქლიშვილი; მ. ურუშაძე, ი. უკლება; კ. ჭაჭუა

— **ბათუმელთა** კარში ისეთი გოლი გავიდა, კაიხანი ბევრს ისევ ნულით ნული ეგონა. ფლანგზე გაქცეულ გიორგი სეთურიძეს ფეხებში ვასილ კუნჭულია ჩაუხტა და ბურთი აუტზე მოიგერია. ბათუმელი მცველები ნელა უბრუნდებოდნენ პოზიციებს. ამასობაში სეთურიძემ სწრაფად მოაწოდა და ბურთი რევაზ გოცირიძეს თავზე დაასვა, ამანაც კარიდან გამოსულ და მოულოდნელობით დაბნეულ გიორგი სომხიშვილს ბურთი თავზე გადაუგდო. ბათუმელი მცველები პოზიციებზე რომ განაწილდნენ; რუსთაველები უკვე დაწინაურებას ზეიმობდნენ.

მასპინძლები გაშვებულმა გოლმა ისე დააბნია, ორი პასი ვეღარ გადააბეს. ოლიმპელები კი მეორე გოლზე დაიგეშნენ და მალე კინაღამაც გაიტანეს: თორნიკე აფციაურმა არაზუსტი გადაცემა ჩაჭრა და რევაზ გეწაძე სომხიშვილს შეატოვა, რომელმაც კარი პოზიციის სწორად შერჩევის წყალობით იხსნა.

ნახევარი საათი მიილია. სტუმართა შეტევებმა იკლო, მასპინძლები კი შორეული დარტყმებით ავარჯიშებდნენ მირზა მერლანს. ოლიმპელებს არც მეორე გოლის გატანისას დასდგომიათ დიდი ჯაფა — გეწაძემ კუთხური მოაწოდა, დავით გალოგრემ თავით მოგერიება სცადა, მაგრამ ბურთი ლაშა ქებაძეს მიუვიდა და — 0:2.

პირველი ტაიმის ბოლოს ბათუმელებს ჰქონდათ ერთი ბურთის გაქვითვის შანსი, მაგრამ კობა შალამბერიძის ფლანგურ გარღვევა ჩაწოდებას და ნიკა კერესელიძის მიერ ბურთის ჭკვიანურად გატარებას ხეირი არ მოჰყოლია: მახვილაძემ ბეჟანიძეს ცარიელი კარის აღების საშუალება არ მისცა, ფეხებში ჩაუხტა და კარი იხსნა.

რუსთაველებმა მეორე ტაიმიც აქტიურად დაიწყეს და სომხიშვილის მესამედ დამწუხრებაც შეძლოთ. ქებაძემ მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა ვლადიმერ დვალიშვილს, რომელსაც ბურთი ფეხიდან აეჭრა. მომდევნო შეტევისას გოცირიძეს დუბლის მითვლა შეეძლო, შორიდან ბურთს ჭვინტი მიჰკრა და რომ არა ძელი, უცნაური ტრაექტორიით მფრინავი ბურთი კარში აღმოჩნდებოდა.

ბათუმელებს მატჩის ბოლოსღა გაახსენდათ, რომ შინ თამაშობდნენ და ბოლო ოცი წუთი თავი გამოიდეს, რასაც გოლიც მოჰყვა. უკვე დამატებულ დროში გიორგი ნერგაძემ ცენტრში მიიღო ბურთი, ოდნავ წინ გაიგდო, ძლიერად დაარტყა და მერლანს დაბალ კუთხეში გაუტანა — 1:2.

# ყველაფერი მომეწონა ჩასტვენილის გარდა

გორი. 27 აპრილი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 2 000 მაყურებელი

## დილა 1:1 ლოკომოტივი

1:0 გონჩაროვი (36), 1:1 ჟღენტი (78)

**დილა:** თევდორაძე, ბალიაშვილი, ყველაშვილი, დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ნ. ნოზაძე, სადალაშვილი, გ. ვარდოსანიძე (ტლაშაძე 86), სულთანიშვილი (სამადაშვილი 72), გონჩაროვი (ბ. ჩიტაია 87)
*სათადარიგონი:* კეჩხუაშვილი; კობახიძე, კურტანიძე, აბრამიშვილი
**მწვრთნელი:** მამუკა ვარდოსანიძე

**ლოკომოტივი:** გვარამაძე, თუთბერიძე, გუშარაშვილი, გ. კვახაძე, კუპრეიშვილი (ბარბაქაძე 53), მალიჩავა, ყენია, ალავერდაშვილი, მ. ჟღენტი (ებრალიძე 85), გულორდავა (სოსელია 70), ვ. გოჩაშვილი
*სათადარიგონი:* მიგინეიშვილი; კირკიტაძე, ბახტაძე, ელიზბარაშვილი
**მწვრთნელი:** გიორგი კიკნაძე

**გაფრთხილება:** სულთანიშვილი (35), ყენია (44) ალავერდაშვილი (50), მალიჩავა (84), ბალიაშვილი (84), კ. ხანიშვილი (90),

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზვ. გურგენიძე, ზ. ბერულავა; ლ. კვარაცხელია

**დამკვირვებელი:** ა. შალამბერიძე

**ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან**

**მატჩის** დასაწყისი სტუმრებისა იყო. განსაკუთრებით გიორგი გულორდავა გამოირჩეოდა, რომელიც ხშირად ქმნიდა სახიფათო მომენტებს „დილას" კართან. მე-6 წუთზე კი მასპინძლებს მიეცათ დაწინაურების შანსი — ბორის გონჩაროვმა კარგად გადააწოდა სტუმართა საჯარიმოში მყოფ საბა სულთანიშვილს, რომლის ძლიერი დარტყმა დავით გვარამაძემ მოიგერია. მე-10 წუთზე კი ვლადიმერ გოჩაშვილის თავური ოდნავ ასცდა „დილას" კარს.

ტაიმის შუაში თამაში გათანაბრდა, სახიფათო მომენტები ნაკლებად იქმნებოდა, პირველი გოლი კი ტაიმის ბოლოსკენ გავიდა: სულთანიშვილმა საჯარიმო დარტყმით ბურთი გონჩაროვისკენ გაგზავნა, მანაც წამით დაასწრო მცველს და ზუსტი თავურით გახსნა ანგარიში — 1:0. ორიოდე წუთში მანვე, საჯარიმოში სახიფათოდ შეჭრილმა, რატომღაც დარტყმა დააყოვნა და გვარამაძემ სიტუაცია განმუხტა.

მეორე ნახევარიც სტუმართა შეტევებით დაიწყო. 48-ე წუთზე გოჩაშვილმა გადაცემა ჩაჭრა და კარგად მიაწოდა მარტოდ დარჩენილ გიორგი ალავერდაშვილს, მაგრამ მას დარტყმა არ გამოუვიდა. 5 წუთის შემდეგ „დილა" კვლავ გადარჩა — გოჩაშვილის „მაკრატელა" მცირე მანძილით ასცდა კარს, 68-ე წუთზე კი რევაზ თევდორაძემ იხსნა თავისიანები, ნიკა გუშარაშვილის ახლო თავური მოიგერია.

მასპინძლებს დაღლა დაეტყოთ, რითაც კარგად ისარგებლეს თბილისელებმა და 78-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრეს. მიხეილ ჟღენტმა „დილას" საჯარიმოში მიიღო ბურთი და მახვილი კუთხიდან შემობრუნებით კარის შორ კუთხეში გადაგზავნა — 1:1.

გორელთა ყველანაირ მცდელობას, შეეცვალათ ანგარიში, შედეგი არ მოჰყოლია, რადგან თავდამსხმელები ხშირად სცოდავდნენ. მატჩის ბოლო წუთზე კი ალავერდაშვილს შეეძლო თავისიანების დაწინაურება, მაგრამ მის მიერ მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი თევდორაძემ კუთხურზე მოიგერია.

### პრესკონფერენცია

*გიორგი კიკნაძე:* გორის „დილა" აშკარად კარგ პირობებში იმყოფება წინა წლებთან შედარებით და გუნდიც ნელ-ნელა წინ მიიწევს. საჭირო ქულა ავიღეთ და კმაყოფილნი ვართ, რადგან ჩვენც სახიფათო ზონასთან ახლოს ვართ.

*მამუკა ვარდოსანიძე:* დაძაბული და საინტერესო თამაში იყო. გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ფანიაშვილის მსაჯობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. უკმაყოფილო და აღშფოთებული ვარ დღევანდელი მსაჯობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი 2006-2007
## ნახევარფინალი. I მატჩები

**ესპანიოლი (ესპანეთი) 3:0 ვერდერი (გერმანია)**

1:0 მოიზესი (20), 2:0 პანდიანი (50), 3:0 კორომინასი (88)

ესპანიოლი: ირაისოსი, ლაკრუსი, ტორეხონი, ხარკე, დავიდ გარსია, რუფეტე (კორომინასი 83), მოიზესი, დე ლა პენია (ჟონატასი 79), რიერა, ტამუდო, პანდიანი (იტო 73)

მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე

ვერდერი: ვიზე, ფრიცი, პასანენი, ნალდო, ოვომოიელა, ფრინგსი, ბაუმანი (ვრანიეში 79), დ. იენსენი (რაინკე 60), დიეგო, კლოზე (უგო ალმეიდა 74), პანტი

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: მოიზესი (25), ბაუმანი (37), პანდიანი (67), ფრიცი (90)

გაძევება: ვიზე (58)

მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

37 000 მაყურებელი

**ოსასუნა (ესპანეთი) 1:0 სევილია (ესპანეთი)**

1:0 სოლდადო (55)

ოსასუნა: რიკარდო, ისკიერდო, კრუჩაგა, ჯ. კუელიარი, კორალესი, ხუანფრანი, რაულ გარსია, პუნიალი, დ. ლოპესი, სოლდადო (ვებო 81), მილოშევიჩი (ვალდო 88)

მწვრთნელი: ხოსე ანხელ სიგანდა

სევილია: კობენიო, დანი ალვეში, ხავი ნავარო, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ხესუს ნავასი, პოულსენი, მარტი (ჰინკელი 78), ადრიანუ (პუერტა 83), ლუიშ ფაბიანო (კერჟაკოვი 61), კანუტი

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: პოულსენი (38), კანუტი (40), ხესუს ნავასი (45), სოლდადო (55), კუელიარი (58), ლუიშ ფაბიანო (58)

მსაჯი: ერიკ ბრაამჰაარი (ჰოლანდია)

19 800 მაყურებელი

# ესპანიოლი იოლ გზაზე

**„ესპანიოლმა“** დიდი ნაბიჯი გადადგა ფინალისკენ, რადგან „ვერდერს“, თავისდა გასაკვირადაც, იოლად მოუგო.

„ძალიან კარგად ვითამაშეთ — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა — ასეთი ანგარიშით მოგებას ნამდვილად არ ველოდი, მაგრამ საპასუხო მატჩში დიდი სიფრთხილე გვმართებს. „ვერდერს“ ბევრი გოლის გატანა რომ ეხერხება, არაერთხელ დაუმტკიცებია“.

მოისეს ურტადომ თავით ცხრიანში გაუტანა ტიმ ვიზეს, სტუმრებმა კი ორჯერ დაარტყეს კარში და ორჯერვე ირაისოსმა მოიგერია. მეორე ტაიმში ივან დელა პენიას კუთხურს ვალტერ პანდიანის გოლი მოჰყვა და ურუგვაელისთვის ეს მეთერთმეტე უეფას თასზე. ურტადოც და პანდიანიც ყვითელი ბარათების გამო ბრემენულ მატჩს გამოტოვებენ.

ურუგვაელის გოლიდან რვა წუთში ვიზემ პირისპირ გასული რაულ ტამუდო წააქცია და მეკარე გააძევეს. ათი კაცით მოთამაშე „ვერდერს“ ბოლოსკენ კონტრშეტევა გაეპარა და კორომ მესამე შეაგდო. პეტრი პასანენს შეეძლო ერთის გაქვითვა, მაგრამ ირაისოსმა იყოჩაღა.

„ოსასუნამ“ რობერტო სოლდადოს გოლით მოუგო უეფას თასის მფლობელ „სევილიას“, რომელმაც ბევრი მომენტი ვერ გამოიყენა. სოლდადო მადრიდის „რეალიდანაა“ განათხოვრებული და პირველად იყო ძირითად შემადგენლობაში.

მეორე ტაიმში მთავარი მსაჯი ერიკ ბრაამჰაარი დაშავდა — კუნთი დაეჭიმა და მეოთხე არბიტრმა პიტერ ვინკმა შეცვალა, რამაც თამაში დაახლოებით ექვსი წუთით შეაჩერა.

„ნახევარფინალში გატანა ძალიან სასიხარულოა — თქვა სოლდადომ — მაგრამ გული მწყდება, საპასუხო მატჩს რომ გამოვტოვებ“.

„სევილიამ“ თავიდანვე ძალიან გულმოდგინედ და სწრაფად შეუტია, მაგრამ მხოლოდ ერთხელ, ფრედერიკ კანუტის დარტყმით გამოირჩა. მერე კი „ოსასუნამ“ მიითვისა ბურთი და ტაიმის ბოლომდე მეტოქეზე უკეთ ითამაშა. პაჩი პუნიალმა ახლოდან ააცილა, ხოლო მასზე უკეთესი შანსი ვერ გამოიყენა გარსიამ — „სევილიას“ მეკარემ სასწაულებრივ აუღო.

შესვენებამდე წუთით ადრე კრუჩაგამაც სცადა მასპინძელთა დაწინაურება, მაგრამ სტუმრები გადარჩნენ.

მეორე ნახევრის დაწყებიდან ათ წუთში კი მარჯვენა ფლანგიდან შესრულებულ საჯარიმოს სოლდადომ თავი საგოლედ დაუხვედრა. მასვე ცოტა ხნის შემდეგ მეორეს გატანაც შეეძლო.

„სევილია“ ბოლოს, ალექსანდრ კერჟაკოვის შესვლის შემდეგ გამოცოცხლდა. რუსმა ორჯერ დაარტყა რიკარდოს, მაგრამ მეკარე ყოჩაღად დაუხვდა.

**ვაჟა ხუციშვილი**



„ვერდერმა“ ბარსელონაში ცრემლის ზღვა დატოვა

AFP

# მერლინ ბექემი







**არ ვიცით,** ინგლისში როგორ არის, მაგრამ აქ, ჩვენთან, ასეთ რამეზე, სულ მცირე, იმას იტყვიან, საწყალ ბიჭს გაურეკიაო — დევიდ ბექემმა თმა ქერად შეიღება... მერლინ მონროსავით.

ისე, ეტყობა, ესპანეთშიც დაახლოებით ჩვენსავით ფიქრობენ, რადგან ვიქტორია ადამსის ქმარი (არ არის გამორიცხული, თმის შეღებვის საქმეში სწორედ პოშის ხელი ერიოს) „რეალის“ ვარჯიშზე ყურებამდე ჩამოფხატული ქუდით მივიდა, იმედოვნებდა, ვერავინ შემამჩნევსო, მაგრამ ჰუმპლუც — „სამეფო კლუბის“ მილიონერ ვარსკვლავებს სხვა რა საქმე აქვთ და ამ ჩვენი დევიდის ამბავზე გვარიანად იხალისეს.

ყველაზე მეტად ბრაზილიელმა რობინიომ მოინდომა, საბრალო ბექჰს ქუდში სწვდა კიდევაც, მაგრამ ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა თავი ღირსეულად დაიცვა, თუმცა მერე ყველა შეეცოდა და ერთი წამით წამოიხადა ქუდი.

„ცვლილებები მიყვარს. მომბეზრდა ძველებური ვარცხნილობა“ — თქვა 32 წლის ვარსკვლავმა მოგვიანებით, „რეალის“ საქმეებში გათქვეფილმა „მავანმა“ კი ჟურნალისტებს საიდუმლოდ უთხრა, ერთი ორმა დევიდს მერლინი დაუძახაო.

**პაპუნა ძიდია**

## ვუდგეიტი შვიდად შეფასდა

**„მიდლსბრომ“** დაადასტურა, რომ „რეალიდან“ ნათხოვარი ჯონათან ვუდგეიტი 7 მილიონ გირვანქად გამოისყიდა.

27 წლის მცველი მადრიდის „რეალმა“ 2005 წელს „ნიუკასლიდან“ 13 მილიონ გირვანქად შეიძინა, მაგრამ ინგლისელმა ორი სეზონი ტრავმების მკურნალობაში გაატარა, შარშან კი „მიდლსბროს“ ათხოვეს. ვუდგეიტი გამოკეთდა, კარგად ჩაეწერა გარეთ საუთგეიტის გუნდში და კაპიტნის სამკლავურიც მოირგო.

## ბელამი არ უდრის პედერსენს

**„ლივერპულმა“** და „ბლექბერნმა“, შესაძლოა, ფეხბურთელები გაცვალონ — რაფაელ ბენიტესს ნორვეგიელი მორტენ-გამსტ პედერსენი უნდა, მარკ ჰიუზი კი უელსელი კრეიგ ბელამის დაბრუნებაზე უარს არ იტყვის, რომელიც „ბლექბერნიდან“ გადავიდა „ლივერპულში“, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვერ ჩაეწერა.

ბელამი 6, პედერსენი კი 10 მილიონი გირვანქა ღირს. ბენიტესს არაერთხელ უქთვამს, რომ ნორვეგიელის თამაში ძალიან მოსწონს და მის გადაბირებას ეცდება.

გარდა ამისა, ლივერპულელები მადრიდის „რეალის“ 20 წლის ნახევარმცველ ესტებან გრანეროს შეძენაზეც ფიქრობენ, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი მომავალ ზაფხულს ეწურება.

**ვაჟა ხუციშვილი**

### აშშ

MLS
გადადებული მატჩები

კანზასი 3:0 ტორონტო
დალასი 0:1 ნიუ იორკი

### არგენტინა

კლაუსურა
გადადებული მატჩები

ნუევა ჩიკაგო 2:1 ბანფილდი
როსარიო 1:0 ხიმნასია

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა
II ტური

იარო — ჰაკა 1:2; ჰიკ — ოულუ 0:0; მარიეჰამნი — ლაჰტი 0:0; ინტერი — ვაასა 5:0; მიუპა — ტურკუ 0:2; ტამპერე — კტპ 2:1; ვიიკინგიტი — ჰონკა 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ჰიკ | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ტურკუ | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ვიიკინგიტი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ტამპერე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ინტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:1 | 3 |
| იარო | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| ჰონკა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ოულუ | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| მარიეჰამნი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ლაჰტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ვაასა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |
| კტპ | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| მიუპა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

Copa Toyota Libertadores '2007

### ლიბერტადორესის თასი 2007

II ჯგუფი. VI ტური

**ნეკაქსა (მექსიკა) 2:0 ალიანსა (პერუ)**

1:0 კ. პერეირა (7), 2:0 სალგეირო (47)

**სან პაულუ (ბრაზილია) 2:2 აუდაქს იტალიანო (ჩილე)**

1:0 რიჩარლისონი (7), 1:1 სანტო (60), 2:1 ალოიზიო (66), 2:2 ვილანუევა (71)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნეკაქსა | 6 | 4 | 0 | 2 | 9:7 | 12 |
| სან პაულუ | 6 | 3 | 2 | 1 | 11:4 | 11 |
| აუდაქს იტალიანო | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| ალიანსა | 6 | 0 | 0 | 6 | 2:13 | 0 |

VI ჯგუფი. VI ტური

**ლიგა დე კიტო (ეკვადორი) 3:1 კარაკასი (ვენესუელა)**

1:0 ა. აიოვი (23), 2:0 ურუტია (40), 3:0 ხ. მენდესი (56), 3:1 კ. გონსალესი (63)

**რივერ პლეიტი (არგენტინა) 1:0 კოლო კოლო (ჩილე)**

1:0 გალვანი (62)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლო კოლო | 6 | 3 | 0 | 3 | 12:7 | 9 |
| კარაკასი | 6 | 3 | 0 | 3 | 7:10 | 9 |
| ლიგა დე კიტო | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 |
| რივერ პლეიტი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:6 | 8 |

VII ჯგუფი. VI ტური

**ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 7:0 ბოლივარი (ბოლივია)**

1:0 პალასიო (33), 2:0 რიკელმე (38პ), 3:0 პალასიო (45), 4:0 ტორდოია (52ს.კ.), 5:0 დატოლო (58), 6:0 მარიონი (65), 7:0 მარიონივე (87)

**ტოლუკა (მექსიკა) 3:0 სიენსიანო (პერუ)**

1:0, 2:0 იგუერა (32პ, 48), 3:0 ვ. სანჩესი (70)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტოლუკა | 6 | 4 | 0 | 2 | 10:6 | 12 |
| ბოკა ხუნიორსი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:5 | 10 |
| სიენსიანო | 6 | 3 | 0 | 3 | 12:9 | 9 |
| ბოლივარი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:18 | 4 |

# როდის გასკდება ჟოზე?



## ჟოზე მაურინიუ: კრიშტიანუ რონალდუ უნამუსო და მატყუარაა

**პორტუგალიელი** პორტუგალიელის წინააღმდეგ: ჟოზე მაურინიუმ კრიშტიანუ რონალდუს მატყუარა უწოდა.

მათთვის, ვინც არ იცის: მაურინიუ ლონდონის „ჩელსის" მწვრთნელია, ხოლო რონალდუ „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავი.

„ჩელსი" და „იუნაიტედი" ჯიქურ თუ ირიბად, ერთმანეთს სამ ტიტულს ეცილებიან და კონფლიქტიც აქედან მოდის.

გასულ შაბათს მაურინიუმ განაცხადა, რომ მსაჯები მანჩესტერელთა კარში პენალტებს აღარ ნიშნავენ და ამას ირონიით ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ახალი წესი უწოდა — ახალი წესების პირობებში „ჩელსი" კიდევ ძალიან კარგად გამოდისო. ლონდონელთა მწვრთნელის ამ ნათქვამის გაპრტესტება რატომღაც რონალდუმ ითავა:

„არ მინდა, ვილაპარაკო მაურინიუს ჩივილებზე. ყველამ იცის, რა კაცია „ჩელსის" მწვრთნელი. ის თავს ვალდებულად მიიჩნევს, ყოველთვის რაღაც თქვას, თავის შეცდომებსა და ჩავარდნებს კი არასდროს აღიარებს".

ამას მაურინიუ უპასუხოდ რომ არ დატოვებდა, ძნელი მისახვედრი, ბუნებრივია, იმთავითვე არ იყო...

„ფეხბურთელს, რომელსაც მსოფლიოს საუკეთესოობა სურს და, შესაძლოა, უკვე არის კიდეც, პატიოსნება მართებს. ის ფაქტებისთვის თვალებში შესახედად მომწიფებული უნდა იყოს. თუ რონალდუ ამბობს, რომ ჩემი ნათქვამი პენალტების თაობაზე ტყუილია, თავად იტყუება, ხოლო თუ იტყუება და მატყუარაა, ვერასოდეს მიაღწევს იმ სიმაღლეებს, რომლის მიღწევაც გულში ამოუჭრია" — უთხრა მაურინიუმ „სტემფორდ ბრიჯზე" შეკრებილ ჟურნალისტებს, რომელთაც გაიგეს, რომ მწვრთნელი კლუბის მეპატრონე რომან აბრამოვიჩს უნდა შეხვედროდა და იქაურობას „ალყა შემოარტყეს".

„პორტუგალიურ გარჩევაში" ჩაერია კიდევ ერთი პორტუგალიელი, „მანჩესტერის" თავკაც ალექს ფერგიუსონის ასისტენტი კარლუშ კეიროში, რომელიც, თუ გახსოვთ, ერთი ხანობა მადრიდის „რეალსაც" კი ედგა სათავეში. კეიროშმა ბრძანა:

„ჟოზე მაურინიუს ასეთი სტილი აქვს — ის ნიადაგ ცდილობს, ყურადღება იმ საკითხებზე გადაიტანოს, რომელიც პირადად მისთვის არის მნიშვნელოვანი. ეს მისი სტილია, მისი თამაშია, რომელშიც ჩვენ არ შევტოპავთ. ჩვენ სხვანაირები ვართ. როდესაც ვერ ვიმარჯვებთ, გვყოფნის ღირსება და მეტოქის სიძლიერეს ვაღიარებთ. ჩვენ ჩვენი მეტოქეებისგან ვსწავლობთ".

კეთილი და პატიოსანი, სურათი ნათელია, თუმცა მაინც არის ისეთი რამ, რაც გაკვირვებას იწვევს: რატომ არ უპასუხა მაურინიუს გამონათქვამებს თავად სერ ალექს ფერგიუსონმა? განა „მანჩესტერ იუნაიტედის" შეფი ვინმეზე ნაკლები მოლაპარაკეა? განა ეგრეთწოდებული „მაინდ გეიმზ", ანუ ჭკუის ასარევი სიტყვიერი თამაშები, დიდი ბოდიში და, მისი მოგონილი არ არის? ჩვენი ამ საკითხში გარკვევა (ფერგიუსონის ერთ მოკრძალებულ კომენტარს, სადავო ეპიზოდები ტელევიზორში ვნახე და მსაჯი სწორად მოიქცაო, მოდი, პასუხად ნუ ჩავთვლით, რადგან ყველამ კარგად ვიცით, როგორი პასუხები ეხერხება სერ ალექსს) ინგლისის ნაკრების ყოფილმა მცველმა, ფერგიუსონის სკოლაგავლილმა პოლ პარკერმა ითავა:

„ბოსმა მაურინიუს იმიტომ არ უპასუხა, რომ ეს პასუხი არაფერს მისცემდა. მას პენალტების თემაზე რამე რომ ეთქვა, თავად გამოუვიდოდა კოცონში ფიჩხის შეგდება. აბა, დავუკვირდეთ, რა არის მაურინიუს ჩივილების ნამდვილი მიზეზი — ეს გახლავთ „ჩელსის" გასაჭირი და ეს ისევ და ისევ „მანჩესტერის" უპირატესობაზე მეტყველებს. სერ ალექსი ძალიან გამოცდილია საიმისოდ, ამ ხმაურში რომ არ ჩაერიოს. იგი ხედავს ახალგაზრდა მწვრთნელს, რომელსაც ჩემპიონატის ტვირთი მძიმედ დააწვა და ვერ უმკლავდება. ეს მდგომარეობა რაღაცით ჰგავს იმას, ფერგიუსონს ოდესღაც კევინ კიგანთან რომ ჰქონდა. გახსოვთ, რა მოხდა მაშინ? ალექს ფერგიუსონმა ხმა არ ამოიღო, კიგანი კი დაიქოქა, დაიქოქა და გასკდა. ჩემი აზრით, ახლაც იგივე ხდება და, მგონი, ბოსიც ამასვე ფიქრობს".

42 წლის პოლ პარკერი „მანჩესტერ იუნაიტედში" 1991-96 წლებში თამაშობდა.

**ბაჩუნა ბედია**



## კრიშტიანუ რონალდუ: მაურინიუ შეცდომებს არასოდეს აღიარებს

| XXXVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| უიგანი | : | ვესტ ჰემი |
| ბლექბერნი | : | ჩარლტონი |
| ჩელსი | : | ბოლტონი |
| ევერტონი | : | მანჩესტერი |
| სიტი | : | ასტონ ვილა |
| მიდლსბრო | : | ტოტენჰემი |
| პორტსმუთი | : | ლივერპული |
| შეფილდი | : | უოტფორდი |
| **ხვალ** | | |
| არსენალი | : | ფულემი |
| **ზეგ** | | |
| რედინგი | : | ნიუკასლი |

## ინგლისი

# ევერტონს შარშანდელი წყენა ისევ ახრჩობს

**საპრეტენზიო** რომ არაფერი ჰქონდეთ, „მანჩესტერის" და „ჩელსის" მატჩები ერთ დროს დაიწყება, თუმც პირველს გაცილებით რთული ბრძოლა ელის, ვიდრე მეორეს.

„ევერტონს" შანსი აქვს, დალი დაასვას „მანჩესტერის" საჩემპიონო შანსებს, რადგან ალექს ფერგიუსონის გუნდს ისევ ვერ დაეხმარებიან ნემანია ვიდიჩი, რიო ფერდინანდი და მიკაელ სილვესტრი. მხოლოდ გარი ნევილი გამოკეთდა, მაგრამ მწვრთნელი ალბათ არ გარისკავს და „მილანთან" შეხვედრისთვის შემოინახავს. „ევერტონი" მეხუთე ადგილზეა და თითქმის განაღდებული აქვს უეფას თასის საგზური, თუმც პირველ წრეში 0:3 წააგო „ოლდ ტრაფორდზე" და რევანში სწყურია.

„ჩელსის" კი ტრავმები დიდად არ აწუხებს. სეზონის ბოლომდე გამოკლებულ არიენ რობენს თუ არ ჩავთვლით, ყველა ჯანზეა. მიხაელ ბალაკი იყო დაშავებული და მომჯობინდა, მაგრამ მას სალივერპულოდ დაასვენებენ, ისევე, როგორც რიკარდუ კარვალიუს. ძირითად შემადგენლობაში იქნება მიკაელ ესიენი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

„ბოლტონს" სამი მთავარი ფეხბურთელი დააკლდება: ელ ჰაჯი დიუფი, აბდულაე ფაიე და ტალ ბენ ჰაიმი. კევინ ნოლანის, ნიკი ჰანტის და იანაკოპულოსის თამაში საეჭვოა.

უეფას თასის საგზურისთვის მებრძოლი „პორტსმუთი" „ლივერპულს" უმასპინძლებს და მხოლოდ პედრუ მენდეში დააკლდება, რაფაელ ბენიტესმა კი „ჩელსისთან" მატჩის შემდეგ თქვა, „პორტსმუთთან" არავის არ დავასვენებ, რათა ბიჭებმა ფორმა შეინარჩუნონ ლიგის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრისთვისო.

„არსენალს" ქულაღა სჭირდება მეოთხე ადგილზე დასამკვიდრებლად და დასუსტებულ „ფულემთან" მიზნის მიღწევა არ უნდა გაუჭირდეს, რომელსაც ცხრა ტურია, არ მოუგია.

გასულ კვირას „მიდლსბრომ" „მანჩესტერს" „ოლდ ტრაფორდზე" წაართვა ქულა, ახლა კი „ტოტენჰემს" უმასპინძლებს. გარეთ საუთგეიტისთვის კარგი ამბავი ისაა, რომ აბელ შავიერი და ხულიო არკა გამოკეთდნენ. „ტოტენჰემი" კი უკვე ექვსი მატჩია, ვერ იგებს და ნავსის გატეხვას ეცდება. სტუმრებს ტრავმამოშუშებული პოლ სტალტერი დაუბრუნდებათ. აჰმედ ჰოსამ მიდო კი ისევ დაშავებულია.

„ჩარლტონს" ბოლო ტურებში ქულები სჭირდება პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად და ამიტომაც ჩაჰყვება გუნდს 6000 ქომაგი ბლექბერნში.

დიდი ბრძოლა გაიმართება უიგანში, სადაც „ვესტ ჰემ იუნაიტედს" აუცილებლად მოგება უნდა, მასპინძლები კი ქულაზეც არ იტყვიან უარს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | ■ | 1:1 | 2:0 | 0:1 | 3:0 | 4:1 | 3:2 | 3:0 | 1:0 | 4:1 |
| 2 | ჩელსი | | ■ | 1:0 | 1:1 | | | 2:2 | 2:1 | 1:0 | 3:0 |
| 3 | ლივერპული | 0:1 | 2:0 | ■ | 4:1 | 0:0 | 3:0 | 2:0 | 0:0 | 3:0 | 1:1 |
| 4 | არსენალი | 2:1 | | 3:0 | ■ | 1:1 | 2:1 | 2:1 | 2:2 | 3:0 | 6:2 |
| 5 | ევერტონი | | 2:3 | 3:0 | 1:0 | ■ | 1:0 | 1:1 | | 1:2 | 1:0 |
| 6 | ბოლტონი | 0:4 | 0:1 | 2:0 | 3:1 | 1:1 | ■ | 1:3 | 3:2 | 2:0 | 1:2 |
| 7 | რედინგი | 1:1 | 0:1 | 1:2 | 0:4 | 0:2 | 1:0 | ■ | 0:0 | 3:1 | 1:2 |
| 8 | პორტსმუთი | 2:1 | 0:2 | | | 2:0 | 0:1 | 3:1 | ■ | 1:1 | 3:0 |
| 9 | ტოტენჰემი | 0:4 | 2:1 | 0:1 | 2:2 | 0:2 | 4:1 | 1:0 | 2:1 | ■ | |
| 10 | ბლექბერნი | 0:1 | 0:2 | 1:0 | 0:2 | 1:1 | 0:1 | | 3:0 | 1:1 | ■ |
| 11 | ასტონ ვილა | 0:3 | 0:0 | 0:0 | 0:1 | 1:1 | 0:1 | 2:1 | 0:0 | 1:1 | 2:0 |
| 12 | ნიუკასლი | 2:2 | 0:0 | 2:1 | 0:0 | 1:1 | 1:2 | 3:2 | 1:0 | 3:1 | |
| 13 | სიტი | | 0:1 | 0:0 | 1:0 | 2:1 | 0:2 | 0:2 | 0:0 | 1:2 | 0:3 |
| 14 | მიდლსბრო | 1:2 | 2:1 | 0:0 | 1:1 | 2:1 | 5:1 | 2:1 | 0:4 | | 0:1 |
| 15 | ფულემი | 1:2 | 0:2 | | 2:1 | 1:0 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 |
| 16 | უიგანი | 1:3 | 2:3 | 0:4 | 0:1 | 0:2 | 1:3 | 1:0 | 1:0 | 3:3 | 0:3 |
| 17 | შეფილდი | 1:2 | 0:2 | 1:1 | 1:0 | 1:1 | 2:2 | 1:2 | 1:1 | 2:1 | 0:0 |
| 18 | ჩარლტონი | 0:3 | 0:1 | 0:3 | 1:2 | 1:1 | 2:0 | 0:0 | 0:1 | | 1:0 |
| 19 | ვესტ ჰემი | 1:0 | 1:4 | 1:2 | 1:0 | 1:0 | | 0:1 | 1:2 | 3:4 | 2:1 |
| 20 | უოტფორდი | 1:2 | 0:1 | 0:3 | 1:2 | 0:3 | 0:1 | 0:0 | 4:2 | 0:0 | 2:1 |

| № | | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | 3:1 | 2:0 | 3:1 | 1:1 | 5:1 | 3:1 | 2:0 | 2:0 | | 4:0 |
| 2 | ჩელსი | 1:1 | 1:0 | 3:0 | 3:0 | 2:2 | 4:0 | 3:0 | 2:1 | 1:0 | 4:0 |
| 3 | ლივერპული | 3:1 | 2:0 | 1:0 | 2:0 | 4:0 | 2:0 | 4:0 | | 2:1 | 2:0 |
| 4 | არსენალი | 1:1 | 1:1 | 3:1 | 1:1 | | 2:1 | 3:0 | 4:0 | 0:1 | 3:0 |
| 5 | ევერტონი | 0:1 | 3:0 | 1:1 | 0:0 | 4:1 | 2:2 | 2:0 | 2:1 | 2:0 | 2:1 |
| 6 | ბოლტონი | | 2:1 | 0:0 | 0:0 | 2:1 | 0:1 | 1:0 | 1:1 | 4:0 | 1:0 |
| 7 | რედინგი | 2:0 | | 1:0 | 3:2 | 1:0 | 3:2 | 3:1 | 2:0 | 6:0 | |
| 8 | პორტსმუთი | 2:2 | 2:1 | 2:1 | 0:0 | 1:1 | 1:0 | 3:1 | 0:1 | 2:0 | 2:1 |
| 9 | ტოტენჰემი | 2:1 | 2:3 | | 2:1 | 0:0 | 3:1 | 2:0 | 5:1 | 1:0 | 3:1 |
| 10 | ბლექბერნი | 1:2 | 1:3 | 4:2 | 2:1 | 2:0 | 2:1 | 2:1 | | 1:2 | 3:1 |
| 11 | ასტონ ვილა | ■ | 2:0 | 1:3 | 1:1 | 1:1 | 1:1 | | 2:0 | 1:0 | 2:0 |
| 12 | ნიუკასლი | 3:1 | ■ | 0:1 | 0:0 | 1:2 | 2:1 | 0:1 | 0:0 | 2:2 | 2:1 |
| 13 | სიტი | | 0:0 | ■ | 1:0 | 3:1 | 0:1 | 0:0 | 0:0 | 2:0 | 0:0 |
| 14 | მიდლსბრო | 1:3 | 1:0 | 0:2 | ■ | | 1:1 | 3:1 | 2:0 | 1:0 | 4:1 |
| 15 | ფულემი | 1:1 | 2:1 | 1:3 | 2:1 | ■ | 0:1 | 1:0 | 2:1 | 0:0 | 0:0 |
| 16 | უიგანი | 0:0 | 1:0 | 4:0 | | 0:0 | ■ | 0:1 | 3:2 | | 1:1 |
| 17 | შეფილდი | 2:2 | 1:2 | 0:1 | 2:1 | 2:0 | | ■ | 2:1 | 3:0 | |
| 18 | ჩარლტონი | 2:1 | 2:0 | 1:0 | 1:3 | 2:2 | 1:0 | 1:1 | ■ | 4:0 | 0:0 |
| 19 | ვესტ ჰემი | 1:1 | 0:2 | 0:1 | 2:0 | 3:3 | 0:2 | 1:0 | 3:1 | ■ | 0:1 |
| 20 | უოტფორდი | 0:0 | | 1:1 | 2:0 | 3:3 | 1:1 | 0:1 | 2:2 | 1:1 | ■ |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | 34 | 26 | 4 | 4 | 78:24 | 82 | 15 | 2 | 1 | 46:11 | 47 | 11 | 2 | 3 | 32:13 | 35 |
| 2 | ჩელსი | 34 | 24 | 7 | 3 | 60:20 | 79 | 12 | 4 | 0 | 34:8 | 40 | 12 | 3 | 3 | 26:12 | 39 |
| 3 | ლივერპული | 35 | 20 | 7 | 8 | 54:22 | 67 | 14 | 3 | 1 | 37:5 | 45 | 6 | 4 | 7 | 17:17 | 22 |
| 4 | არსენალი | 35 | 18 | 9 | 8 | 59:33 | 63 | 11 | 5 | 1 | 39:14 | 38 | 7 | 4 | 7 | 20:19 | 25 |
| 5 | ევერტონი | 35 | 14 | 12 | 9 | 46:31 | 54 | 10 | 4 | 3 | 28:13 | 34 | 4 | 8 | 6 | 18:18 | 20 |
| 6 | ბოლტონი | 35 | 16 | 6 | 13 | 42:45 | 54 | 9 | 4 | 5 | 24:18 | 31 | 7 | 2 | 8 | 18:27 | 23 |
| 7 | რედინგი | 35 | 15 | 6 | 14 | 48:42 | 51 | 10 | 2 | 5 | 28:18 | 32 | 5 | 4 | 9 | 20:24 | 19 |
| 8 | პორტსმუთი | 35 | 13 | 11 | 11 | 43:38 | 50 | 10 | 4 | 3 | 26:14 | 34 | 3 | 7 | 8 | 17:24 | 16 |
| 9 | ტოტენჰემი | 34 | 14 | 8 | 12 | 49:50 | 50 | 11 | 2 | 4 | 31:20 | 35 | 3 | 6 | 8 | 18:30 | 15 |
| 10 | ბლექბერნი | 34 | 13 | 5 | 16 | 42:49 | 44 | 8 | 2 | 7 | 24:21 | 26 | 5 | 3 | 9 | 18:28 | 18 |
| 11 | ასტონ ვილა | 35 | 9 | 16 | 10 | 36:39 | 43 | 6 | 8 | 4 | 17:14 | 26 | 3 | 8 | 6 | 19:25 | 17 |
| 12 | ნიუკასლი | 35 | 11 | 9 | 15 | 37:43 | 42 | 7 | 7 | 4 | 23:18 | 28 | 4 | 2 | 11 | 14:25 | 14 |
| 13 | სიტი | 35 | 11 | 9 | 15 | 28:39 | 42 | 5 | 6 | 6 | 10:13 | 21 | 6 | 3 | 9 | 18:26 | 21 |
| 14 | მიდლსბრო | 35 | 10 | 10 | 15 | 38:45 | 40 | 9 | 3 | 5 | 26:20 | 30 | 1 | 7 | 10 | 12:25 | 10 |
| 15 | ფულემი | 35 | 7 | 15 | 13 | 35:54 | 36 | 6 | 7 | 5 | 17:18 | 25 | 1 | 8 | 8 | 18:36 | 11 |
| 16 | უიგანი | 35 | 9 | 8 | 18 | 35:54 | 35 | 5 | 4 | 8 | 18:26 | 19 | 4 | 4 | 10 | 17:28 | 16 |
| 17 | შეფილდი | 35 | 9 | 8 | 18 | 30:50 | 35 | 6 | 6 | 5 | 22:19 | 24 | 3 | 2 | 13 | 8:31 | 11 |
| 18 | ჩარლტონი | 35 | 8 | 9 | 18 | 31:52 | 33 | 7 | 5 | 6 | 19:18 | 26 | 1 | 4 | 12 | 12:34 | 7 |
| 19 | ვესტ ჰემი | 35 | 9 | 5 | 21 | 28:58 | 32 | 7 | 2 | 9 | 21:25 | 23 | 2 | 3 | 12 | 7:33 | 9 |
| 20 | უოტფორდი | 35 | 4 | 12 | 19 | 26:57 | 24 | 3 | 8 | 7 | 18:24 | 17 | 1 | 4 | 12 | 8:33 | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩელსის კოპი დააჯდება!



## ახალი ლივერპულური წყევლა: შენ გაგიჟდი ისე, როგორც საწყალი მაურინიუ გაგიჟდა

**სტივენ ჯერარდი** ამბობს, რომ ნებისმიერი, ვინც „ლივერპულს“ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნილად მიიჩნევს, ისევე გაგიჟებულა, როგორც ჟოზე მაურინიუ, რომელსაც ბოლო ხანს გახმაურებული პენალტების ამბავი ეჩვენება.

სტატისტიკა მეტყველებს, რომ ევროსარბიელზე „ლივერპულს“ აგერ უკვე 16 წელიწადია, პირველი თამაშის ჩამორჩენა არ გამოუსწორებია, მაგრამ ჯერარდს სხვა არგუმენტი აქვს — „ენფილდ როუდი“, უფრო სწორად კი, მისი განთქმული ტრიბუნა „კოპი“.

შეგახსენებთ: ოთხშაბათს, „სტემფორდ ბრიჯზე“ „ჩელსიმ“ „ლივერპულს“ ჯო კოულის გოლით აჯობა.

„ჯერ არაფერი გარკვეულა, ჯერ მხოლოდ პირველი ნახევარი დამთავრდა — უთხრა ჯერარდმა ჟურნალისტებს — მაყურებლის მხარდაჭერით ჩვენ შეგვიძლია, „ჩელსის“ გული ფრიად ვატკინოთ“.

ზემოთ ვახსენეთ, რომ „ლივერპულს“ პირველი თამაშის ჩამორჩენა 16 წლის განმავლობაში თავის სასიკეთოდ არ შემოუტრიალებია, მაგრამ, ყველამ ვიცით, რომ იმავ „ლივერპულს“ ჩემპიონთა ლიგის 2005 წლის ფინალში აქვს გმირობა ჩადენილი — პირველი ტაიმის 0:3 შემოუტრიალა „მილანს“.

„დარწმუნებული ვარ, ჩვენ ასეთი რამ დღესაც შეგვიძლია და ამაში უდიდეს როლს „ენფილდზე“ შეკრებილი ხალხი ითამაშებს. ეს ხალხი ჩვენი მე-12 ფეხბურთელი იქნება. მე ვიცი, რომ მათ ჭერის ჩამოღება შეუძლიათ. ჩვენ მათი გვწამს, მათ კი ჩვენი“.

და ბოლოს, ჯერარდს პირველი თამაშის ის ეპიზოდი გაახსენეს, როდესაც „ჩელსის“ მეკარემ პეტრ ჩეხმა მისი დარტყმული აილო.

„არა მგონია, მსოფლიოში რომელიმე სხვა მეკარეს მოეგერიებინა ეს დარტყმა. იმ მომენტში ჩეხი მართლა იმსახურებდა მილოცვას“.

**პაპუნა ძიძია**

# ტრაგიკული ცხოვრების კარი



**სვირინგი** და ფეხბურთი უკვე ახლო ნათესავებივით არიან — ვინ სად რას არ იხატავს და ეს ტალღა უკვე ფეხბურთელთა მეუღლეებმაც აიტაცეს.

აი, გერმანული „ჰანოვერის“ მეკარე რობერტ ენკეს ცოლმა, 30 წლის ტერეზამ მარჯვენა მკლავზე შვილის სახელი ამოისვირინგა. თუმცა აქ უფრო ტრაგიკულ ამბავთან გვაქვს საქმე, ვიდრე ჩვეულებრივ სვირინგთან — რობერტ და ტერეზა ენკეებს 2 წლის გოგონა ლარა გარდაეცვალათ. ბავშვი გულით დაავადებული დაიბადა და ოპერაცია ველარ გადაიტანა.

თავის დროზე რობერტ ენკე გერმანიაში ერთ-ერთი იმედისმომცემი მეკარე იყო და ბუნდესნაკრების კანდიდატადაც ითვლება, თუმცა ამ შემზარავმა ამბავმა მას კინაღამ მიატოვებინა ფეხბურთი.

„ლარა უკვე აღარ გვყავს, თუმცა არც მე და არც ტერეზას უფლება არ გვაქვს, ყურები ჩამოვყაროთ. ცხოვრების აზრს ისევ ფეხბურთი მაძლევს“ — განაცხადა რობერტმა.

როგორც გერმანიაში ვარაუდობენ, იენს ლემანის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ მეორე ნომერი ენკე გახდება...

**კახა შალამბერიძე**



### XXXI ტური

**გუშინ**

ბოხუმი : შალკე

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვ.) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის*

**დღეს**

ალემანია : ჰერტა
გლადბახი : შტუტგარტი
მაინცი : ჰანოვერი
დორტმუნდი : აინტრახტი
ნიურნბერგი : ვოლფსბურგი
ბაიერნი : ჰამბურგი

**ხვალ**

არმინია : ვერდერი
კოტბუსი : ლევერკუზენი

# გერმანია

## წაჰყევით ტუალეტში მარსელინიოს!

**ოთხი** ტურია დარჩენილი ბუნდესლიგის დასრულებამდე და „ბაიერნს“ კიდევ აქვს მესამე ადგილის მოპოვების შანსი, რაც ჩემპიონთა ლიგის გზაზე დააყენებს. საამისოდ კი მიუნხენელთა მოგებები არ კმარა — „შტატგარტმაც“ უნდა წაიფორხილოს. მოკლედ, ოტმარ ჰიცფელდის გუნდის ბედი მხოლოდ მათ ხელში არაა. ამას დაემატა ბასტიან შვაინშტაიგერის და ლუკას პოდოლსკის ტრავმები — ისინი ამ სეზონში უკვე ველარ ითამაშებენ. მსუბუქად დაშავებულნი არიან ოლივერ კანი, მარკ ვან ბომელი და ოუენ ჰარგრივსი, მაგრამ ისინი ალბათ სადღეისოდ მომჯობინდებიან და „ჰამბურგთან“ გამარჯვებაში დაეხმარებიან გუნდს.

„ჰამბურგს“ უკვე ოთხი ტურია, სტუმრად არ წაუგია და გოლიც არ გაუშვია. შარშან გაზაფხულზე „ბაიერნს“ და „ჰამბურგს“ შორის საჩემპიონ ბრძოლა იყო გაჩაღებული, ახლა კი მოკრძალებული მიზნები აქვთ. აღსანიშნავია, რომ ოტმარ ჰიცფელდიც და ჰუუბ სტევენსიც მე-20 ტურის წინ დანიშნეს მწვრთნელებად. სტევენსმა საქმე უკეთააწყო, რადგან „ჰამბურგი“ ფსკერიდან დაიძრა და კინაღამ ცხრილის შუაში ავიდა, ჰიცფელდმა კი ვერ შეძლო „ბაიერნის“ მძლავრად ამუშავება.

წინა ტურში „ბაიერნის“ ძლევით გალაღებულ „შტუტგარტს“ კი მიონხენგლადბახიდან სამი ქულის წაღება არ უნდა გაუჭირდეს. არმინ ფეეს გუნდი კვლავ ფორმაშია და ბუნდესლიგის მაჩანჩალას სტუმრობს, რომელსაც ცალი ფეხი უკვე ქვედა ლიგაში აქვს. თან გლადბახელებს ტრავმების გამო ოლივერ ნოივილი, ზე ანტონიო და მიხაელ დელურა დააკლდებიან.

გერმანიის თასის ფინალისტი „ნიურნბერგი“ „ვოლფსბურგს“ დაუხვდება და სამი ქულის ალებას შეეცდება, რათა კვლავ გააგრძელოს ბრძოლა მეხუთე ადგილისთვის, რომელიც ერთი კვირის წინ „ლევერკუზენთან“ მარცხით დაკარგა. „ნიურნბერგის“ მწვრთნელმა ჰანს მაიერმა იხუმრა, „ვოლფსბურგში“ ყველაზე სახიფათო მარსელინიოა და მისთვის თვალის მოშორება არ შეიძლება — ტუალეტში რომ მიდის, იქაც უნდა გაჰყვეო.

„ნიურნბერგი“ თასის ფინალში „შტუტგარტს“ ხვდება. „შტუტგარტმა“ მესამე ადგილი თუ შეინარჩუნა, მაშინ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს და მაიერის გუნდი ფინალში მარცხის შემთხვევაშიც გაინაღდებს უეფას თასის საგზურს. მიუხედავად ამისა, ნიურნბერგელთა მწვრთნელს უნდა, რომ გუნდმა საგზური მეხუთე ადგილზე გასვლით მოიპოვოს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შალკე | | 2:0 | 1:0 | 2:2 | 0:1 | | 2:0 | 2:0 | 2:1 | 0:2 | 2:1 | 2:0 | 3:1 | 1:1 | | 2:1 | 4:0 | 2:0 | 30 | 19 | 5 | 6 | 49:27 | 62 | 11 | 2 | 2 | 27:10 | 35 | 8 | 3 | 4 | 22:17 | 27 |
| 2 | ვერდერი | 0:2 | | 2:3 | 3:1 | 2:1 | 1:0 | 3:1 | 1:1 | 3:0 | 0:2 | 3:0 | 2:1 | 1:3 | | 3:0 | 3:1 | 2:0 | 3:0 | 30 | 18 | 6 | 6 | 67:34 | 60 | 11 | 1 | 4 | 32:16 | 34 | 7 | 5 | 2 | 35:18 | 26 |
| 3 | შტუტგარტი | 3:0 | 4:1 | | 2:0 | 3:0 | 0:3 | 0:0 | | 2:1 | 2:0 | 1:0 | 0:0 | 1:3 | 1:1 | 3:2 | 3:1 | | 1:0 | 30 | 17 | 7 | 6 | 54:34 | 58 | 10 | 3 | 2 | 26:12 | 33 | 7 | 4 | 4 | 28:22 | 25 |
| 4 | ბაიერნი | 2:0 | 1:1 | 2:1 | | 2:1 | 0:0 | 4:2 | 2:1 | 0:1 | | 0:0 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 1:0 | 2:1 | | 1:1 | 30 | 16 | 5 | 9 | 45:35 | 53 | 10 | 4 | 1 | 23:10 | 34 | 6 | 1 | 8 | 22:25 | 19 |
| 5 | ლევერკუზენი | 3:1 | 0:2 | 3:2 | 2:3 | | 2:0 | 2:1 | 3:1 | 0:1 | 1:2 | 1:4 | 1:1 | | 2:2 | | 3:0 | 1:1 | 1:0 | 30 | 13 | 6 | 11 | 47:43 | 45 | 7 | 3 | 5 | 25:21 | 24 | 6 | 3 | 6 | 22:22 | 21 |
| 6 | ნიურნბერგი | 0:0 | 1:2 | 4:1 | 3:0 | 3:2 | | 2:1 | 1:0 | 3:1 | | 1:1 | | 1:1 | 2:2 | 1:1 | 1:0 | 1:1 | 1:0 | 30 | 10 | 14 | 6 | 39:28 | 44 | 8 | 6 | 1 | 25:13 | 30 | 2 | 8 | 5 | 14:15 | 14 |
| 7 | ჰერტა | 2:0 | | 2:2 | 2:3 | | 2:1 | | 0:1 | 4:0 | 2:1 | 3:3 | 2:1 | 0:1 | 1:0 | 1:1 | 2:1 | 1:2 | 2:1 | 30 | 10 | 8 | 12 | 41:47 | 38 | 8 | 3 | 4 | 26:18 | 27 | 2 | 5 | 8 | 15:29 | 11 |
| 8 | კოტბუსი | 2:4 | 0:0 | 0:0 | | | 1:1 | 2:0 | | 0:1 | 2:2 | 0:0 | 3:2 | 2:3 | 0:1 | 2:1 | 0:2 | 2:0 | 3:1 | 30 | 10 | 8 | 12 | 35:41 | 38 | 5 | 5 | 5 | 19:18 | 20 | 5 | 3 | 7 | 16:23 | 18 |
| 9 | ჰანოვერი | 1:1 | 2:4 | 1:2 | 1:2 | 1:1 | | 5:0 | | | 0:0 | 0:2 | 2:2 | 4:2 | 1:1 | 1:1 | 0:3 | 1:0 | 1:0 | 30 | 10 | 8 | 12 | 36:43 | 38 | 4 | 6 | 5 | 21:21 | 18 | 6 | 2 | 7 | 15:22 | 20 |
| 10 | ჰამბურგი | 1:2 | 1:1 | 2:4 | 1:2 | 0:0 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 0:0 | | | 1:0 | 3:0 | 3:1 | 1:1 | | 2:2 | 1:1 | 30 | 7 | 15 | 8 | 35:33 | 36 | 3 | 9 | 3 | 18:16 | 18 | 4 | 6 | 5 | 17:17 | 18 |
| 11 | ბოხუმი | | 0:6 | | 1:2 | 1:3 | 0:2 | 1:3 | 0:1 | 2:0 | 2:1 | | 0:1 | 2:0 | 4:3 | 2:1 | 2:2 | 0:1 | 2:0 | 30 | 10 | 6 | 14 | 40:46 | 36 | 6 | 1 | 8 | 19:26 | 19 | 4 | 5 | 6 | 21:20 | 17 |
| 12 | ვოლფსბურგი | 2:2 | | 1:1 | 1:0 | 3:2 | 1:1 | 0:0 | 0:0 | 1:2 | 1:0 | 3:1 | | | 2:2 | 2:3 | 1:2 | 3:2 | 1:0 | 30 | 8 | 11 | 11 | 34:38 | 35 | 6 | 6 | 3 | 22:18 | 24 | 2 | 5 | 8 | 12:20 | 11 |
| 13 | დორტმუნდი | | 0:2 | 0:1 | 3:2 | 1:2 | 0:0 | 1:2 | 2:3 | 2:2 | 1:0 | 1:1 | 1:0 | | | 1:1 | 0:0 | 1:1 | 1:0 | 30 | 9 | 8 | 13 | 34:41 | 35 | 4 | 6 | 5 | 15:17 | 18 | 5 | 2 | 8 | 19:24 | 17 |
| 14 | აინტრახტი | 1:3 | 2:6 | 0:4 | 1:0 | 3:1 | 2:2 | | 1:3 | 2:0 | 2:2 | 0:3 | 0:0 | 1:1 | | 0:3 | | 0:0 | 1:0 | 30 | 7 | 13 | 10 | 39:53 | 34 | 4 | 5 | 6 | 16:28 | 17 | 3 | 8 | 4 | 23:25 | 17 |
| 15 | არმინია | 0:1 | | 2:3 | 2:1 | 0:0 | 3:2 | 2:2 | 3:1 | | 1:1 | 1:3 | 0:0 | 1:0 | 2:4 | | 5:1 | 1:0 | 0:2 | 30 | 8 | 9 | 13 | 38:43 | 33 | 6 | 4 | 5 | 23:21 | 22 | 2 | 5 | 8 | 15:22 | 11 |
| 16 | ალემანია | 0:1 | 2:2 | 2:4 | 1:0 | 2:3 | 1:1 | | 1:2 | 1:4 | 3:3 | 2:1 | | 1:4 | 2:3 | 2:0 | | 2:1 | 4:2 | 30 | 9 | 6 | 15 | 44:56 | 33 | 5 | 3 | 7 | 26:31 | 18 | 4 | 3 | 8 | 18:25 | 15 |
| 17 | მაინცი | 0:3 | 1:6 | 0:0 | 0:4 | 1:3 | 2:1 | 1:1 | 4:1 | | 0:0 | 2:1 | 1:2 | 1:0 | 1:1 | 1:0 | 1:3 | | | 30 | 7 | 10 | 13 | 28:48 | 31 | 5 | 4 | 6 | 16:26 | 19 | 2 | 6 | 7 | 12:22 | 12 |
| 18 | მიონხენგლადბახი | 0:2 | 2:2 | | | 0:2 | 0:0 | 3:1 | 2:0 | 0:1 | 0:1 | | 3:1 | 1:0 | 1:1 | 1:0 | 0:0 | 1:1 | | 30 | 6 | 7 | 17 | 22:37 | 25 | 5 | 5 | 4 | 14:12 | 20 | 1 | 2 | 13 | 8:25 | 5 |



# გაგრძელების გაგრძელება
## ისევ მილანი და ისევ რონალდინიო

**თემა** გრძელდება: რონალდინიოს ძმა და აგენტი რობერტო ასისი ბრაზილიაში „მილანის“ წარმომადგენლებს შეხვდა.

რა ითქვა ამ შეხვედრაზე, ზუსტად არავინ იცის, თუმცა, აბა, რა დიდი მარჩიელობა უნდა, რომ მთავარი საკითხი რონალდინიოს შავ-წითელ ფორმაში გამოწყობაა.

უკვე რა ხანია, მილანელები „ბარსელონას“ ბრაზილიელ ვარსკვლავზე ნადირობენ და ფულსაც არ იშურებენ, თუმცა კატალონიელები თავიანთი ლიდერის გაყიდვისგან თავს იკავებენ.

მსოფლიო ფეხბურთის სატრანსფერო სტატისტიკა კი ბარსელონელთათვის ულმობელია: ზოგადად, ასეთი ამბები მყიდველის სასარგებლოდ მთავრდება ხოლმე.

მოკლედ, „მილანი“ ნელ-ნელა, მაგრამ მაინც უახლოვდება რონალდინიოს და ამ საქმის გაგრძელება მომავალ კვირაშივე იქნება: რობერტო ასისი „ბარსას“ თავკაცებს უნდა შეხვდეს...

**კახა ზალამბერიძე**

# დეფოს უნდა თამაში

**„ტოტენჰემის“** ფორვარდი ჯერმენ დეფო, შესაძლოა, „მანჩესტერში“ გადავიდეს — წერს „სანი“.

დეფო უკმაყოფილოა, რადგან ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებენ. სანამ „ტოტენჰემს“ მარტინ იოლი წვრთნის, ალბათ, ასეც გაგრძელდება ფორვარდის საქმე და ამიტომაც უნდა გუნდის გამოცვლა. ალექს ფერგიუსონის აზრით კი, ჯერმენ დეფო და უეინ რუნი კარგ შემტევ წყვილს შექმნიან.

„მამლები“ თავდამსხმელის სანაცვლოდ 10 მილიონ გირვანქას და ერთ მანჩესტერელ ფეხბურთელს ითხოვენ.

# არნესენმა ასულინი იპოვა

**„ჩელსის“** სპორტული დირექტორი ფრენკ არნესენი „ბარსელონადან“ გაი ასულინის გადაბირებას ცდილობს. 16 წლის ნახევარმცველს ძალიან აქებენ და ამიტომაც სურთ ჩელსელებს ხელში მისი ჩაგდება.

სამი წლის წინ ლონდონის „არსენალმა“ ასეთივე ახალგაზრდა სესკ ფაბრეგასი წაიყვანა, რომელიც ამჟამად „მეთოფეთა“ გუნდში ერთ-ერთი საუკეთესოა. „ბარსელონას“ არ უნდა ასულინის გაშვება, მაგრამ ესპანური კანონი იქაურ კლუბს 18 წლამდე ფეხბურთელებთან პროფესიული კონტრაქტის გაფორმებას უკრძალავს და „ჩელსის“ შეუძლია, იაფად, 50 ათას გირვანქად მოაგვაროს ნიჭიერი მოთამაშის ტრანსფერი.

# გორდონი ლემანის შემდეგ

**მიუხედავად** იმისა, რომ იენს ლემანმა „არსენალთან“ კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა, „ტაიმსი“ წერს, რომ არსენ ვენგერს „ჰართსიდან“ კრეიგ გორდონის ყიდვა უნდა.

შოტლანდიის ნაკრების მეკარე 24 წლისაა და სწორედ ის გახდება ლემანის შემცვლელი, რომელიც გაისად „არსენალიდან“ წავა.

# ბარტეზი ძველბიჭობს

**საფრანგეთის** ნაკრების ყოფილმა მეკარემ, ამჟამად „ნანტის“ წევრმა ფაბიენ ბარტეზმა კინაღამ დაასახიჩრა თანაგუნდელი დიმიტრი პაიე.

ინციდენტი ვარჯიშზე მოხდა, ფეხბურთელებს შორის შელაპარაკება გაქაჩვა-გამოქაჩვაში გადაიზარდა და ხოტორა ბარტეზიც ბლაგვი საგნის ჩარტყმით დაემუქრა პაიეს.

მოშუღარნი თანაგუნდელებმა და მწვრთნელებმა გააშველეს.

# ჩაქუჩები გაპარსეს

**პრემიერლიგის** ისტორიაში რეკორდული თანხით, 5 მილიონ 500 ათასი გირვანქით დააჯარიმეს „ვესტ ჰემი“, რადგან „კორინთიანსიდან“ კარლოს ტევესის და ხავიერ მასკერანოს შეძენისას სატრანსფერო წესები დაარღვია. „ჩაქუჩები“, შეიძლება ითქვას, იოლად გამოძვრნენ, მათ ხომ ქულების დაკლებით ემუქრებოდნენ და ამით ნაადრევად გაუფორმებდნენ ქვედა ლიგის საგზურს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შეშინებული რუნი

**უეინ რუნი** შემთხვევის ადგილიდან მიიმალა — ინგლისური „სანის“ ცნობით, გასულ ორშაბათს 200 ათასგირვანქიანი „ლამბორჯინით“ მიმავალ მანჩესტერელ ფორვარდს საჭე გაჰქცევია და გზისპირა დამცავ ღობეს დასჯახებია.

ფეხბურთელის მეგობარმა თქვა, რომ ავტო გვარიანად დაჭმუჭნულა, მძღოლი კი ძალიან შეშინებულია.

„ლამბორჯინი“ რუნიმ ჯერ კიდევ შობამდე შეუკვეთა და ორი კვირის წინ მიუღია.




**ვაჟა ხუციშვილი**

| XXXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ატლეტიკო | : | ბეტისი |
| ვალენსია | : | უელვა |
| **ხვალ** | | |
| სევილია | : | ესპანიოლი |
| ხეტაფე | : | სოსიედადი |
| ბარსელონა | : | ლევანტე |
| ხიმნასტიკი | : | ვილიარეალი |
| სელტა | : | მალიორკა |
| ოსასუნა | : | სარაგოსა |
| რასინგი | : | დეპორტივო |
| ბილბაო | : | რეალი |

## ესპანეთი

# ინგლისელის მშობლიური ბილბაო

**დევიდ ბექემი** „ბილბაოსთან“ მატჩში „რეალის“ ძირითადში ითამაშებს. ინგლისელი ყოველთვის ამბობდა, ესპანეთში ინგლისურ არენებს ყველაზე მეტად „სან მამესი“ მაგონებსო და ახლა ეცდება, პირინეებზე თავისი ბოლო სეზონი „ბილბაოს“ „მშობლიურ“ სტადიონზე შესანიშნავი ბურთაობით აღნიშნოს.

„ქათქათა დევიდი“ სამეფო გუნდის ძირითად შემადგენლობას 56 დღის შემდეგ დაუბრუნდება. ზუსტად ეს დროა გასული მას შემდეგ, რაც ინგლისელი „ხეტაფესთან“ მატჩში დაიმტვრა. ახლა ბექემი თავს მშვენივრად გრძნობს, რაც „ვალენსიასთან“ ამასწინანდელ შეხვედრაშიც დაამტკიცა. მაშინ ალბიონელის პასით სერხიო რამოსმა „ღამურებს“ გამარჯვების გოლი შეუგდო.

რახან დევიდი სასტარტო თერთმეტეულშია, ეს იმას ნიშნავს, რომ გონსალო იგუაინი სათადარიგოებში გადაინაცვლებს. ბექემის გარდა გუნდს დაუბრუნდა ივან ელგერაც, რომელსაც „ვალენსიასთან“ დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია.

ფაბიო კაპელოს მთელი გუნდი მწყობრში ჰყავს და კარგი შანსიც აქვს სამი ქულის ასაღებად.

„ბილბაოს“ გასავარდნ ზონასთან ორი ქულა აშორებს. ბასკებს, სავარაუდოდ, ტრავმირებულები, ხავი მარტინესი და ურსაისი გამოაკლდებიან.

პრიმერას ლიდერი „ბარსელონა“ კი კვირას „ლევანტეს“ მასპინძლობს. „ბარსა“ ეგვიპტიდან ახლახან დაბრუნდა (იქ „ალ-აჰლისთან“ ამხანაგური შეხვედრა ჰქონდა), საბრძოლო შემადგენლობა ჰყავს, „ლევანტეს“ კი დისკვალიფიკაციის გამო კავალიერო გამოაკლდება.

„სევილია“ „ესპანიოლს“ დაუხვდება. ორივე გუნდი უეფას თასის ფინალში გასასვლელად იბრძვის, მაგრამ თუ ბარსელონელები მშვენიერ ხასიათზე არიან, სევილიელებს გულს „ოსასუნასთან“ წაგება უმძიმებთ.

„ესპანიოლს“ ვალტერ პანდიანი ვერ დაეხმარება.

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 3:1 | 3:3 | 3:1 | 1:1 | 1:1 | 3:0 | 2:0 | | | 2:1 | 4:0 | 1:0 | 3:0 | | 3:0 | 3:1 | | 1:0 | 3:0 | 31 | 17 | 8 | 6 | 60:29 | 59 | 12 | 3 | 0 | 36:9 | 39 | 5 | 5 | 6 | 24:20 | 20 |
| 2 | სევილია | 2:1 | | 2:1 | | 3:0 | 3:1 | | 0:0 | 1:0 | | 4:0 | | 1:2 | 2:0 | 3:2 | 4:1 | 2:0 | 4:0 | 0:0 | 2:1 | 31 | 17 | 7 | 7 | 52:27 | 58 | 12 | 2 | 1 | 33:9 | 38 | 5 | 5 | 6 | 19:18 | 20 |
| 3 | რეალი | 2:0 | | | 1:0 | 2:1 | 1:1 | 0:3 | 3:1 | 1:1 | | | 0:0 | | 2:0 | 0:0 | 2:1 | 1:2 | 0:1 | 2:0 | 2:0 | 31 | 17 | 6 | 8 | 44:28 | 57 | 8 | 4 | 3 | 19:11 | 28 | 9 | 2 | 5 | 25:17 | 29 |
| 4 | სარაგოსა | 1:0 | 2:1 | | | 0:1 | 1:0 | 0:0 | | 3:1 | 3:0 | 1:1 | 1:0 | 2:0 | 1:2 | 2:1 | | 2:0 | 2:2 | 3:2 | 3:0 | 31 | 15 | 8 | 8 | 45:30 | 53 | 11 | 3 | 2 | 27:11 | 36 | 4 | 5 | 6 | 18:19 | 17 |
| 5 | ვალენსია | 2:1 | 2:0 | 0:1 | | | 3:1 | | 0:2 | 2:0 | 3:2 | 4:0 | | 3:1 | 1:0 | 2:1 | 1:1 | 1:0 | 3:0 | | 4:0 | 31 | 16 | 5 | 10 | 43:31 | 53 | 12 | 1 | 2 | 31:10 | 37 | 4 | 4 | 8 | 12:21 | 16 |
| 6 | ატლეტიკო | | 2:1 | 1:1 | 0:1 | 0:1 | | 2:1 | 1:1 | 1:0 | 1:2 | 2:0 | 3:1 | 1:1 | 1:0 | | 1:0 | | 1:0 | 1:1 | 0:0 | 31 | 14 | 8 | 9 | 35:26 | 50 | 8 | 5 | 3 | 18:11 | 29 | 6 | 3 | 6 | 17:15 | 21 |
| 7 | უელვა | 0:4 | 1:3 | | | 2:0 | 1:0 | | 4:2 | 1:2 | | 1:1 | 2:1 | 1:1 | 2:0 | 2:0 | | 4:2 | 0:1 | 1:0 | 2:1 | 31 | 14 | 7 | 10 | 45:41 | 49 | 9 | 2 | 4 | 24:18 | 29 | 5 | 5 | 6 | 21:23 | 20 |
| 8 | რასინგი | 0:3 | 0:0 | 2:1 | 0:2 | 1:0 | 0:1 | 4:3 | | 1:0 | 1:1 | | 2:1 | | 1:0 | | 5:4 | 1:1 | | 1:0 | 4:1 | 31 | 12 | 11 | 8 | 39:39 | 47 | 9 | 3 | 3 | 23:18 | 30 | 3 | 8 | 5 | 16:21 | 17 |
| 9 | ხეტაფე | 1:1 | 0:0 | 1:0 | 2:2 | 3:0 | | 1:1 | 1:0 | | 0:1 | 2:0 | 3:0 | 1:0 | 2:0 | 1:1 | 0:0 | 1:0 | 0:0 | | | 31 | 11 | 10 | 10 | 29:24 | 43 | 8 | 7 | 1 | 19:6 | 31 | 3 | 3 | 9 | 10:18 | 12 |
| 10 | ესპანიოლი | 3:1 | 2:1 | 0:1 | 1:2 | 1:1 | | 0:1 | 2:2 | | | | 1:1 | 3:1 | 0:0 | 2:2 | 3:2 | 2:1 | 1:1 | 1:0 | 0:1 | 31 | 10 | 12 | 9 | 35:35 | 42 | 6 | 6 | 4 | 22:18 | 24 | 4 | 6 | 5 | 13:17 | 18 |
| 11 | დეპორტივო | 1:1 | | 2:0 | 3:2 | | 1:0 | | 0:0 | 1:0 | 0:0 | | 2:0 | 1:0 | 1:0 | 0:1 | 0:2 | 0:1 | 0:0 | 2:0 | 1:0 | 31 | 11 | 9 | 11 | 23:31 | 42 | 9 | 4 | 3 | 15:7 | 31 | 2 | 5 | 8 | 8:24 | 11 |
| 12 | ვილიარეალი | 2:0 | 0:0 | 1:0 | 3:2 | 0:1 | 0:1 | 0:1 | | 1:0 | 0:0 | 0:2 | | 2:1 | 1:4 | 3:2 | | | 1:1 | 1:1 | 2:0 | 31 | 11 | 8 | 12 | 31:39 | 41 | 7 | 4 | 5 | 17:16 | 25 | 4 | 4 | 7 | 14:23 | 16 |
| 13 | მალიორკა | 1:4 | | 0:1 | 2:1 | | 0:0 | 2:1 | 1:2 | 2:0 | 1:0 | 0:0 | 1:2 | | | 2:0 | 1:3 | 2:2 | 3:1 | 0:0 | 1:0 | 31 | 11 | 6 | 14 | 32:41 | 39 | 7 | 4 | 5 | 19:17 | 25 | 4 | 2 | 9 | 13:24 | 14 |
| 14 | ოსასუნა | 0:0 | 0:0 | 1:4 | | 1:1 | | 1:1 | 0:1 | 0:2 | 0:2 | 4:1 | | 3:0 | | 5:1 | 1:1 | 0:1 | 2:1 | | 2:0 | 31 | 10 | 6 | 15 | 35:37 | 36 | 5 | 5 | 5 | 20:16 | 20 | 5 | 1 | 10 | 15:21 | 16 |
| 15 | ბეტისი | 1:1 | 0:0 | 0:1 | 1:1 | 2:1 | 0:1 | 0:0 | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 3:3 | 0:1 | | | 3:0 | 1:0 | 2:1 | 0:1 | | 31 | 7 | 13 | 11 | 31:38 | 34 | 4 | 8 | 4 | 16:14 | 20 | 3 | 5 | 7 | 15:24 | 14 |
| 16 | ბილბაო | 1:3 | 1:3 | | 0:0 | 1:0 | 1:4 | 4:2 | 0:0 | 2:0 | 2:1 | | 0:1 | | 0:3 | 1:2 | | 0:1 | | 1:1 | 0:2 | 31 | 8 | 8 | 15 | 35:50 | 32 | 4 | 3 | 8 | 14:23 | 15 | 4 | 5 | 7 | 21:27 | 17 |
| 17 | სელტა | 2:3 | 1:2 | 1:2 | 1:1 | 3:2 | 1:3 | 1:2 | 2:2 | | 0:2 | 1:0 | 1:1 | | 0:2 | | 1:1 | | | 0:0 | 1:1 | 31 | 7 | 9 | 15 | 31:46 | 30 | 2 | 6 | 7 | 16:24 | 12 | 5 | 3 | 8 | 15:22 | 18 |
| 18 | ლევანტე | 1:1 | 2:4 | 1:4 | 0:0 | | 0:3 | 2:1 | 2:0 | 1:1 | 0:0 | 2:0 | 0:2 | 0:1 | | 1:1 | 0:0 | 1:1 | | 2:0 | | 31 | 6 | 12 | 13 | 25:41 | 30 | 4 | 7 | 5 | 15:19 | 19 | 2 | 5 | 8 | 10:22 | 11 |
| 19 | სოსიედადი | | 1:3 | 1:2 | 1:3 | 0:1 | 2:0 | 2:3 | | 0:0 | 1:1 | 0:1 | 0:1 | 3:1 | 2:1 | 0:0 | 0:2 | | 1:0 | | 3:2 | 31 | 6 | 9 | 16 | 23:37 | 27 | 5 | 3 | 8 | 17:21 | 18 | 1 | 6 | 8 | 6:16 | 9 |
| 20 | ხიმნასტიკი | | 1:0 | 1:3 | 1:0 | 1:1 | | 1:1 | 2:2 | 1:3 | 4:0 | 0:0 | | 2:3 | 2:3 | 0:1 | 2:3 | 1:2 | 2:1 | | | 31 | 6 | 6 | 19 | 30:53 | 24 | 4 | 4 | 7 | 21:23 | 16 | 2 | 2 | 12 | 9:30 | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა





დავიდ ვილიას „იუვენტუსიც" ეპატიჟება

# მილანის ბუფ-ოინი: 37 მილიონი და აბიატი

**ჯანლუიჯი ბუფონის** გარშემო მითქმა-მოთქმა არ ცხრება.

იტალიურ პრესაში გავრცელებული ახალი ინფორმაციით, ჯიჯის მთავარი მსურველი კვლავ „მილანია". ამბობენ, „როსონერი" მზადაა, ტურინის „იუვენტუსს" ბუფონის სანაცვლოდ 37 მილიონი ევრო და პლუს კრისტიან აბიატი შესთავაზოსო.

რამდენიმე დღის წინ პრესასთან საუბრისას ტურინელთა სპორტულმა დირექტორმა ალესიო სეკომ ბუფონის წასვლის ვარიანტი არ გამორიცხა, მაგრამ მას ძალიან დიდი ფასი დაადო. „იუვეს" მთავარი მწვრთნელ დიდიე დეშანისთვის კი ჯიჯი საერთოდ შეუფასებელია.

„ბუფონი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. იგი შეუფასებელია და იმედია, არსად წავა. მისით რომ ბევრია დაინტერესებული, ეს ბუნებრივია, მაგრამ არა მგონია, ახლა ჯიჯის მომავალზე სასაუბროდ კარგი დრო იყოს. მას, ისევე, როგორც მე, „იუვენტუსთან" კონტრაქტი გვაკავშირებს და ამას პატივს ვცემთ. ჯერ სერია A-ს საგზურის განაღდება გვინდა, დანარჩენზე კი მერე ვისაუბროთ" — თქვა დიდიე დეშანმა.

აპენინური ჟურნალ-გაზეთები იმასაც წერენ, „იუვენტუსი" ბუფონის შესაძლო წასვლაზე უკვე ფიქრობს და ამიტომ მის სათანადო შემცვლელს ეძებსო. „ბებერ ქალბატონს" გლაზგოს „სელტიკის" პოლონელი მეკარის არტურ ბორუცისთვის დაუდგამს თვალი.

იმასაც ამბობენ, „იუვენტუსი" ესპანეთის ნაკრებისა და „ვალენსიას" ფორვარდ დავიდ ვილიასაც არ ეშვებაო. თუმცა 25 წლის ფორვარდზე თვალი ლონდონის „ჩელსისაც" უჭირავს, რომელთან ბრძოლაც ტურინელებს გაუჭირდებათ.

გავრცელებული ცნობით, ლონდონელები მზად არიან, „ლამურებს" ვილიაში დაახლოებით 70 მილიონი ევრო გადაუხადონ. ეს თანხა კი მომავალი ზაფხულისთვის „იუვეს" სატრანსფერო ბიუჯეტის ნახევარზე მეტია...

იქნებ სწორედ ამაში გამოადგეთ ტურინელებს ბუფონში აღებული ფული?!

მოკლედ, ცხელი ზაფხული გველის...

**გიორგი ქაქაბაძე**

# უმწვრთნელოდ თამაში არ შეიძლება?
## ძამპარინის რეპლიკები ძვირი ყოფილა

„**პალერმოს**" გიჟმაჟ პრეზიდენტ მაურიციო ძამპარინის სამთვიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. სადისციპლინო კომიტეტი ამ გადაწყვეტილებას ალბათ რამდენიმე დღეში ოფიციალურად დაამტკიცებს. გარდა ამისა, მას 11 ათასი ევროს გადახდაც მოუწევს.



ძამპარინი ხშირად აკეთებს ხოლმე უცნაურ და სკანდალურ განცხადებებს, თუმცა „ლეგა კალჩოს" განრისხების მიზეზი „პალერმო" — „მილანის" უგოლოდ დასრულებულ მატჩს მოყოლებული კომენტარები გახდა. მაშინ ძამპარინიმ, ასე ვთქვათ, იტალიური ფეხბურთის მამები გამოლანძღა, კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ რეალურად არაფერი შეცვლილა, მსაჯებად ისევ ისეთ ხალხს ნიშნავენ, რომლებიც ხელს აძლევენ და პატარა კლუბებს ჩაგრავენო.

„ესე იგი, ცუდად მომუშავე სამსაჯო კომიტეტზე ვერაფერი უნდა ვთქვა? აბა, ვის შევჩივლო, ღმერთს თუ რომის პაპს? მათ ჩემი დასჯა იმიტომ გადაწყვიტეს, რომ ყოველთვის სიმართლეს ვამბობ და ახლა შურისძიება უნდათ" — განაცხადა მაურიციო ძამპარინიმ.

ბოლო დროს გავრცელდა ცნობები, „პალერმოს" მომავალი სეზონიდან სვენ გორან ერიკსონი უთავკაცებსო, მაგრამ ძამპარინიმ ეს უარყო.

„ეს ტყუილია. მეტიც, ერიკსონმა თავად შემომთავაზა საკუთარი კანდიდატურა. იგი ჩინებული მწვრთნელია, მაგრამ ჩვენს სამომავლო გეგმებში არ შედის. ახლა დაახლოებით ათი კანდიდატი გვყავს და მათგან ერთს ავარჩევთ. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, საერთოდ უმწვრთნელოდ ვითამაშებდით, მაგრამ ეს შეუძლებელია" — დასძინა სიცილიელთა პრეზიდენტმა.

**ქოქი ქანდელაკი**

## ტოლდოს კარს გაუღებენ

„**ინტერის**" მეკარე ფრანჩესკო ტოლდოს „ლაციო" ეპატიჟება. 34 წლის გოლკიპერს ძირითად შემადგენლობაში ადგილი ბრაზილიელმა ჟულიო სეზარმა წაართვა და გუნდის გამოცვლას აპირებს.

„ინტერმა" განაცხადა, რომ ტოლდოს შეთავაზება თუ ექნება, წასვლაში ხელს არ შეუშლის. „ლაციოს" კი იტალიის ნაკრების ყოფილი მეკარე პირველ ნომრად უნდა, რადგან ანჯელო პერუცი უკვე გვარიანად მობერდა.

## ვაჭრობა ჯილარდინოსთვის

„**იუვენტუსი**" „მილანთან" ალბერტო ჯილარდინოზე ვაჭრობას აგრძელებს.

„ლა სტამპას" ცნობით, დავიდ ტრეზეგეს წასვლის შემთხვევაში ტურინელებს ფორვარდი დასჭირდებათ და ფრანგის შემცვლელად ჯილარდინო მიაჩნიათ, რომელსაც არაერთხელ უთქვამს, „იუვეს" ქომაგი ვარო.

საუბარი იყო უდინეზელ ვინჩენცო იაკინტაზეც, მაგრამ დიდიე დეშანს ეს თავდამსხმელი არ მოსწონს.

გამორიცხული არაა, რომ გარიგებისას „მილანმა" „იუვესგან" ჯანლუიჯი ბუფონი მოითხოვოს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ფიორენტინა | : | კიევო |
| ტორინო | : | მილანი |
| **ხვალ** | | |
| მესინა | : | ატალანტა |
| პარმა | : | კალიარი |
| უდინეზე | : | კატანია |
| ინტერი | : | ემპოლი |
| რომა | : | ლაციო |
| ლივორნო | : | პალერმო |
| ასკოლი | : | რეჯინა |
| სიენა | : | სამპდორია |

# იტალია
# რომაული არდადეგები ლაციოზე ჰკიდია

**ხვალ** დერბი „დელა კაპიტალეა": ფორმალური მასპინძელი „რომა" „ლაციოზე" შურისძიებას ეცდება. შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში „ბიანკოჩელისტიმ" „გლადიატორები" 3:0 გაანადგურა.

„რომას" ლიდერ ფრანჩესკო ტოტის მცირე ტრავმა აქვს და ექიმების თქმით, მისი თამაშის შანსი 20 პროცენტია. ვერ ითამაშებენ მარკო კასეტი და მატეო ფერარი. „ლაციოს" სტეფანო და მუდინგაი დააკლდებიან; სტენდარდოს თამაში საეჭვოა, ხოლო ემილსონ კრიბარიმ ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა აკლია და ნაკლებ სავარაუდოა, მინდორზე გავიდეს.

„ამ მატჩისთვის განსაკუთრებულად მოვემზადეთ. რამდენად მნიშვნელოვანია დერბი ჩვენთვის, ალბათ ხვდებით. თანაც, პირველ წრეში წაგებისთვის შურისძიება გვინდა და თუ მოვიგეთ, მეორე ადგილს გავინაღდებთ, რაც სეზონის მშვიდად ჩამთავრების შანსს მოგვცემს" — თქვა „რომას" მცველმა კრისტიან პანუჩიმ.

„ლაციოს" პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო: „იმედია, ბრწყინვალე შოუს მომსწრენი გავხდებით და ამაში თავის წვლილს ქომაგებიც შეიტანენ. კორექტულ და ჯანსაღ ბრძოლას ველი. ყოველგვარი უსიამოვნო ინციდენტი თავიდან უნდა ავირიდოთ".

გაჩემპიონებული „ინტერი" „ემპოლის" მასპინძლობს. ტოსკანელებს ქულები ძალიან სჭირდებათ, მაგრამ მათ „სან სიროზე" თუნდაც ფრეს ლანგრით არავინ მიართმევს.

„ინტერის" თავდასხმა შედარებით ექსპერიმენტული იქნება, რადგან ადრიანოს დისკვალიფიკაცია აქვს, ხოლო ზლატან იბრაჰიმოვიჩს ოპერაცია სჭირდება და ამ სეზონში ველარ ითამაშებს. დიდი-დიდი, იტალიის თასის ფინალის საპასუხო მატჩისთვის დაბრუნდეს. შვედისთვის ალბათ ყველაზე გულდასაწყვეტი ის არის, რომ სერია A-ს ბომბარდირობისთვის ველარ იბრძოლებს.

„მილანი" მეოთხე ადგილზე ექვსქულიანი უპირატესობითაა გამაგრებული, თან ოთხშაბათს „მანჩესტერ იუნაიტედთან" ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალური მატჩი ელის და გასაკვირი არ არის, რომ კარლო ანჩელოტი გადარჩენისთვის მებრძოლ „ტორინოსთან" სათადარიგო შემადგენლობით აპირებს თამაშს.

წინასწარი ინფორმაციით, „მილანის" სავარაუდო შემადგენლობა ასეთია: სტორარი, კაფუ, ბონერა, შიმიჩი, ფავალი, ამბროზინი, ბროკი, გურკუფი, ზეედორფი, ოლივეირა, რონალდო.

კრიზისში მყოფი „პალერმო" „ლივორნოს" სტუმრობს. ამ მატჩში სიცილიელთა მთავარი მწვრთნელის პოსტზე რენცო გობის დებიუტი შედგება.

„ლივორნოს" დიდი ხნით დაშავებული ძირითადი მეკარე მარკო ამელია და დისკვალიფიცირებული ლიდერი კრისტიანო ლუკარელი არ ეყოლება. ვერც კარმინე კოპოლა და რეჰმან რეზაი ითამაშებენ.

გასავარდნ ზონაში რომ დიდ სიმჭიდროვეა, თავადაც ხედავთ. ძალიან ჩამორჩენილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 33 | 26 | 6 | 1 | 68:29 | 84 |
| რომა | 33 | 20 | 8 | 5 | 66:26 | 68 |
| ლაციო | 33 | 17 | 9 | 7 | 54:27 | 57 |
| მილანი | 33 | 18 | 10 | 5 | 53:30 | 56 |
| ემპოლი | 33 | 13 | 11 | 9 | 35:31 | 50 |
| პალერმო | 33 | 13 | 10 | 10 | 49:43 | 49 |
| ფიორენტინა | 33 | 18 | 8 | 7 | 53:28 | 47 |
| უდინეზე | 33 | 11 | 10 | 12 | 42:45 | 43 |
| ატალანტა | 33 | 10 | 12 | 11 | 47:46 | 42 |
| სამპდორია | 33 | 11 | 9 | 13 | 40:42 | 42 |
| ლივორნო | 33 | 8 | 12 | 13 | 35:49 | 36 |
| სიენა | 33 | 7 | 14 | 12 | 29:37 | 34 |
| კალიარი | 33 | 7 | 13 | 13 | 28:38 | 34 |
| ტორინო | 33 | 8 | 9 | 16 | 25:43 | 33 |
| კატანია | 32 | 8 | 9 | 15 | 38:61 | 33 |
| კიევო | 33 | 7 | 11 | 15 | 35:44 | 32 |
| პარმა | 33 | 7 | 11 | 15 | 32:52 | 32 |
| რეჯინა | 33 | 10 | 12 | 11 | 43:44 | 31 |
| მესინა | 33 | 5 | 9 | 19 | 31:58 | 24 |
| ასკოლი | 32 | 3 | 11 | 18 | 26:56 | 20 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 11 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

„ასკოლი" და „მესინა" რომც აღარ ჩავთვალოთ, რვა ისეთი გუნდი მაინც გამოგვივა, გვარიანი ოფლის ღვრა რომ მოუწევთ სერია A-ში ადგილის შესანარჩუნებლად.

მოკლედ, ამ ტურში თითქმის ყველა მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს...

**გიორგი ქაქაბაძე**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

**ინგლისი. პრემიერლიგა**

28 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:45 | 1 | ჩელსი-ბოლტონი | 1.25 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.53 |
| 15:45 | 2 | ჩელსი-ბოლტონი 0:1 | 1.75 | 3.50 | 3.30 | | | |
| 15:45 | 3 | ევერტონი-მანჩესტერი | 5.10 | 3.70 | 1.60 | 2.14 | 1.21 | 1.11 |
| 15:45 | 4 | ევერტონი-მანჩესტერი 1:0 | 2.20 | 3.50 | 2.65 | | | |
| 18:00 | 5 | ბლეკბერნი-ჩარლტონი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 18:00 | 6 | სიტი-ასტონ ვილა | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:00 | 7 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 18:00 | 8 | პორტსმუთი-ლივერპული | 3.25 | 3.20 | 2.15 | 1.61 | 1.29 | 1.28 |
| 18:00 | 10 | შეფილდი-უოტფორდი | 1.60 | 3.40 | 6.30 | 1.08 | 1.27 | 2.20 |
| 18:00 | 11 | უიგანი-ვესტ ჰემი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| | | 29 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 12 | არსენალი-ფულემი | 1.33 | 4.50 | 9.50 | 1.02 | 1.16 | 3.05 |
| 19:00 | 13 | არსენალი-ფულემი 0:1 | 1.85 | 3.50 | 3.10 | | | |
| | | 30 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 14 | რედინგი-ნიუკასლი | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |

**ინგლისი. ჩემპიონატი**

28 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 17 | ბარნსლი-ლესტერი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 18:00 | 18 | ბირმინგემი-უენსდი | 1.65 | 3.30 | 5.30 | 1.10 | 1.25 | 2.03 |
| 18:00 | 19 | კარდიფი-პალი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 20 | ქოვენთრი-ვესტ ბრომვიჩი | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 18:00 | 21 | ლიდსი-იფსვიჩი | 1.75 | 3.40 | 4.40 | 1.15 | 1.25 | 1.91 |
| 18:00 | 22 | ნორვიჩი-საუთჰემპტონი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 18:00 | 23 | პლიმუთი-პრესტონი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 18:00 | 24 | საუთენდი-ლუტონი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| 18:00 | 25 | სტოკი-კოლჩესტერი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 26 | ვულვერჰემპტონი-ქპრ | 1.45 | 3.90 | 7.00 | 1.05 | 1.20 | 2.50 |
| | | 29 აპრილი | | | | | | |
| 16:30 | 27 | კრისტალ პალასი-დერბი | 4.00 | 3.20 | 1.90 | 1.77 | 1.28 | 1.19 |

**ინგლისი. I ლიგა**

28 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 29 | ბლეკპული-სკანთორპი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 30 | ბორნმუთი-ჯილინგემი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 18:00 | 31 | ბრენტფორდი-პორტ ვეილი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 18:00 | 32 | ბრაიტონი-ოლდემი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 18:00 | 33 | კარლაილი-სუონსი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 | 34 | ჩესტერფილდი-ბრედფორდი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 18:00 | 35 | ქრიუ-ტრანმერი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
